ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

22 ოქტომბრიდან!
„ახალი თაობა“ + ტომი
რჩეული ქართული ზღაპრები 3 ლარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

20 — 21 ოქტომბერი, 2012 №250 (5940) ფასი: 30 თეთრი



# ივანიშვილმა შესაძლოა კიდევ ერთი მინისტრობის კანდიდატი შეცვალოს

გვ.3

## არასამთავრობოები დავით დარახველიძის წინააღმდეგ გაერთიანდნენ



## ადეიშვილმა და ცისკარიშვილმა ხალხს ქონება წაართვეს



გვ.5



გვ.3

## სააკაშვილს თვითმფრინავმაც უღალატა

## თემურ შაშიაშვილი: „ქუთაისში პარლამენტის შენახვა წელიწადში 50 მილიონი დაჯდება“

გვ.3





## ვინ გადავა ნაციონალებიდან „ქართულ ოცნებაში“

გვ.2

„ჩვენ აუცილებლად მოვაგროვებთ საკონსტიტუციო უმრავლესობას“

## ახალი რეგლამენტით, პარლამენტმა შემცირებული გრაფიკით უნდა იმუშაოს

გვ.4

## გიორგი დემეტრაძე: „იმედი მაქვს, რომ მე და პატიმრების დიდი ნაწილი ოჯახებს ახალ წლამდე ვნახავთ“

გვ.4



ISSN 1987-9385

15 ოქტომბრიდან!
„ახალი თაობა“ +
საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია – ტომი 1
8 ლარი



# ვინ გადავა ნაციონალებიდან „ქართულ ოცნებაში“

## „ჩვენ აუცილებლად მოვაგროვებთ საკონსტიტუციო უმრავლესობას“

ნონა ცაბაძე

### ინტერვიუ ზვიად ძიძიგურთან

*– ბატონო ზვიად, ხვალ ქუთაისში პირველი სხდომა გაიმართება. ნაციონალებს თუ დავუჯერებთ, ახალი პარლამენტი სრულიად წესრიგშია და არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს იქ სხდომების გამართვა, რა ინფორმაციებს ფლობთ თქვენ, დასრულდა თუ არა სამუშაოები და რამდენად უსაფრთხოა ახალი პარლამენტის შენობა და რამდენად არის შანსი, რომ ბოლომდე ქუთაისში დარჩეს?*

– პირველ რიგში, ის უნდა ვთქვათ, რომ საქართველოს მოსახლეობას უნდა ჰქონდეს ინფორმაცია, ქუთაისში არის მზად შენობა, არ არის, გადმოვიტანოთ, არ გადმოვიტანოთ; ამის მიუხედავად, პარლამენტი იმუშავებს და არანაირი შეფერხება საქართველოს პარლამენტს თავის საკანონმდებლო და თავის მაკონტროლებელ საქმიანობაში არ ექნება იმის გამო, რომ იქ რაღაცა ტექნიკური თუ ტერიტორიული სიშორის პრობლემები არსებობს. ეს მინდა ყველამ კარგად იცოდეს და ჩემი პირველი რიგის ამოცანაა სწორედ, დავიწყოთ იმ პროგრამების განხორციელება, რომელი პროგრამებიც არის ჩვენი მთავარი დაპირება საქართველოს მოსახლეობის მიმართ და ამ ნაბიჯების გადადგმას ვაპირებთ. რაც შეეხება იმას, წესრიგში არის თუ არ არის ქუთაისის პარლამენტის შენობა, მინდა გითხრათ, რომ არის ძალიან მოუხერხებელი, არ არის წესრიგში. მარტივ რამეს გეტყვით; უბრალოდ, დეპუტატებს, რომლებსაც რამდენიმე დღე მოუწევთ ქუთაისში ყოფნა, ღამის გასათევის საკითხი და პრობლემა უდგათ ყველას ინდივიდუალურად. ქუთაისში ამ რაოდენობის სახლის დაქირავებაც კი დიდი პრობლემაა. ასევე არ არის სასადილო თვითონ პარლამენტის შენობაში, რაც იმას ნიშნავს, რომ მთელი დღის განმავლობაში, როდესაც დეპუტატები არიან საქმიანობაში ჩართულები, მათ მოუწევთ პარლამენტის შენობის დატოვება და საკმაოდ შორს წასვლა იმისათვის, რომ ისადილონ და ისევ დაბრუნდნენ. ანუ პრობლემები არის თავზე საყრელად, მაგრამ მე კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ქუთაისში საპარლამენტო მუშაობა შეფერხებით ჩატარდება. ნამდვილად არ ჩატარდება შეფერხებით, პირველი სხდომა ჩატარდება, კომიტეტების თავმჯდომარეების არჩევა მოხდება, ასევე მთავრობის ნდობის საკითხი, ეს არის ყველაფერი ის საკითხი, რომელიც კონსტიტუციურად ითხოვს ოპერატიულად გადაწყვეტას და ამისთვის ჩვენ ყველანი ვართ მზად.

*–გამოდის, რომ შემდეგი ერთი კვირა პარლამენტი ქუთაისში იმუშავებს?*

– მინიმუმ საშემოდგომო სესია ჩატარდება ქუთაისში.

*–შემდეგში რას აპირებთ? ფაქტია, რომ თბილისში არსებული ყოფილი პარლამენტის შენობა ამ ეტაპზე ცუდ მდგომარეობაშია...*

– ძველი პარლამენტის შენობასთან დაკავშირებით, მე ვფიქრობ, რომ კითხვებს უნდა გაეცეს პასუხი, რატომ მოხდა დატაცება ძველი პარლამენტის შენობიდან ავეჯის, ყოველგვარი დოკუმენტაციის გაფორმების გარეშე, თვითმმართველობებზე რა პრინციპით იქნა გადანაწილებული, რატომ ფორმდება უკანა რიცხვით ახლა, ამ წუთას გატანის საკითხები დოკუმენტურად, რატომ დაანგრიეს ასე სასწრაფოდ ივლისსა და აგვისტოში პარლამენტის შენობა, ეს ყველაფერი არის ის თემები, რომელიც არა მარტო რიტორიკულ კითხვებსა და პასუხებს მოიცავს, არამედ ეს არის თემები, რომელიც სამართალს, კოდექსს უკავშირდება და თანამდებობის პირების პასუხისმგებლობის საკითხს. ეს არის თემა და ძალიან კარგად ვიცით ჩვენ, რომ ეს იყო მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკური გუნდის ხედვა, რომ თბილისში არ უნდა დარჩენილიყო პარლამენტი და ამ მიმართულებით კანონსაწინააღმდეგო ნაბიჯებიც კი არის გადადგმული. ამაზე ყველაფერზე საზოგადოება მიიღებს პასუხს კვალიფიციური იურისტებისაგან და ჩვენ ვნახავთ კანონის ამოქმედებას მთელი სიმკაცრით, რათა ასეთი თვითნებობა, ასეთი თანამდებობრივი უფლებამოსილების გადამეტება არ მოხდეს საქართველოში მომავალში.

*—თბილისში დაბრუნების შემთხვევაში სხვა ალტერნატიული შენობა თუ განიხილება?*

—თბილისში დაბრუნების შემთხვევაში ისევ



პარლამენტის შენობაში უნდა დავბრუნდეთ და ამას დასჭირდება რამდენიმე თვე. ჯერ რამდენიმე თვემდე ამას სჭირდება საკონსტიტუციო ცვლილება, თუმცა მე მინდა გითხრათ, რომ მედიისთვის დღეს ძირითად თემად გადაიქცა ქუთაისი-თბილისი, პარლამენტის გადაადგილება და მინდა კიდევ ერთხელ ვთქვა, რომ ეს არ არის მთავარი მნიშვნელობის თემა, მთავარი მნიშვნელობის თემა არის, რომ პარლამენტმა შეასრულოს თავისი ფუნქცია და ამ მიმართულებით ჩვენ ძალიან ბევრი გვექნება გასაკეთებელი.

*– თქვენ ახსენეთ, რომ ამას საკონსტიტუციო ცვლილებები დასჭირდებაო, თუმცა ამ ეტაპზე ქართულ ოცნებას არ აქვს საკონსტიტუციო უმრავლესობა, თუმცა თქვენ ვარაუდობთ, რომ საკონსტიტუციო უმრავლესობას მიაღწევთ პარლამენტში, რა გაძლევთ ამის თქმის საფუძველს?*

– არის განწყობა მთლიანად ასეთი, რომ ის ხალხი, ვინც არ არიან ნაციონალური მოძრაობის პარტიული წარმომადგენლები, ვინც გავიდნენ პარლამენტში როგორც მაჟორიტარები, ისე ეს ადამიანები, რა თქმა უნდა, მიბმულები არ არიან ნაციონალურ მოძრაობაზე ისე, როგორც სიით გასული ნაციონალები; ასე რომ, არის მაღალი ალბათობა იმისა, რომ საკონსტიტუციო უმრავლესობა საჭიროების შემთხვევაში კოალიცია ქართულ ოცნებას ექნება. ამის თქმის საფუძველი არსებობს. მე კონკრეტულად ვერ გეტყვით, ვინ როგორ ნაბიჯებს გადადგამს, მაგრამ მე ერთი შემიძლია ნამდვილად გითხრათ, რომ 86 კაცი, რომელიც ჰყავს ქართულ ოცნებას პარლამენტში გაყვანილი, 86 ნამდვილად არ დარჩება.

*— ნაციონალები აცხადებენ, რომ მკაცრ ოპოზიციაში იქნებიან, თქვენი აზრით, რამდენად ექნებათ ჩასაფრებული პოზიცია, რამდენად შეეცდებიან ხელის შეშლას გადაწყვეტილების მიღებაში?*

– არა მგონია, რომ მკაცრი ოპოზიცია შედიოდეს მათ ინტერესში. მათ ინტერესში შედის ის, რომ პოლიტიკური ოპონირება მოხდეს და არა რაღაც ჩასაფრებულის მდგომარეობიდან. ჩასაფრებულის მდგომარეობაში რომ იყო, ამასაც გარკვეული სიმყარე სჭირდება. მე არ ვიცი, რამდენად მყარია ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლობა თავის მიერ ჩადენილი დანაშაულებებისა თუ შეცდომების გამო. ამიტომ ვფიქრობ, რომ მკაცრ ოპონირებას ცოტა სხვანაირი საფუძველი სჭირდება. ჩვენ არავის არ ვუპირებთ არც ხელის შეშლას თავის პოლიტიკურ საქმიანობაში, არც ტელევიზიების დაბლოკვას ექნება ჩვენი მხრიდან ადგილი და არც ციხეებში ჩავსვამთ პოლიტიკური მოსაზრებების გამო. ნამდვილად კარგად ვიცით, რომ სასამართლოც უნდა გავათავისუფლოთ, ბიზნესიც უნდა გავათავისუფლოთ, ქვეყანაში უნდა შეიქმნას ნორმალური, სამართლიანი გარემო, ამაზე ჩვენ ვფიქრობთ, მაგრამ ის, რომ ნაციონალები ხელს შეგვიშლიან ჩვენ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეების განხორციელებაში, მე არა მაქვს ასეთი განცდა. არ მგონია, რომ მათ ამისი ან ძალა მოსდევდეთ, ან ხალხის მხარდაჭერა ჰქონდეთ, ან შემართული ოპოზიციონერები იყვნენ. ყველაფერი ნაციონალურ მოძრაობაში არის მიბმული მიხეილ სააკაშვილზე, მის პერსონაზე. მიხეილ სააკაშვილის განცხადებები და რიტორიკა კი 180 გრადუსით არის შემობრუნებული იმისაგან, რასაც ჩვენ რვა წლის განმავლობაში ვისმენდით. რა თქმა უნდა, დღეს თვითონ და მისი პოლიტიკური ძალა არიან ოპოზიციაში, ეს იმას ნიშნავს, რომ მათი რიტორიკაც, შემართებაც, პოლიტიკური საქმიანობაც იქნება გაცილებით სხვაგვარი, ვიდრე ეს ჩვენ გვინახავს მათი ხელისუფლებაში ყოფნის დროს და თუნდაც ოპოზიციაში ყოფნის დროს, ძალიან ადრე 2000-2001 წლებში.

*–ისინი საკმაოდ თამამები არიან და ეს ხომ არ არის დაუსჯელობის სინდრომის ბრალი, მათ, ვისაც მძიმე დანაშაული აქვთ ჩადენილი, ხომ არ აქვთ იმის იმედი, რომ ისინი პასუხისმგებლობას აიცილებენ თავიდან?*

– მე ვფიქრობ, რომ დანაშაულებზე უნდა ილაპარაკოს იმ ორგანოებმა და იმ სტრუქტურებმა, რომლებიც დანაშაულისა და სისხლის სამართლის კოდექსისა და ან სხვა კოდექსების ურთიერთმიმართებას განიხილავს. ეს არ არის პოლიტიკური ძალის გადასაწყვეტი საკითხი, ჩვენი რიტორიკა ახლა არ უნდა დაემსგავსოს მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკური გუნდის რიტორიკას, რომელიც ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ დღე და ღამე იმუქრებოდა, ტელე დაპატიმრებებს აწყობდა, პროკურატურას და სასამართლოს იქვემდებარებდა და ასე შემდეგ. ჩვენი ამოცანა არის თავისუფალი სასამართლოს ჩამოყალიბება, პროკურატურისთვის თავისი რეალური ფუნქციის დაბრუნება და აქედან გამომდინარე ვფიქრობ, რომ არავის არაფერი არ შერჩება, რაც კანონის წინაშე მათ დაარღვიეს და დააშავეს. ეს არის სწორი მიდგომა, ცივილური და ევროპული მიდგომა, დემოკრატიული სახელმწიფოსთვის დამახასიათებელი ხედვა და ჩვენ ვაპირებთ სწორედ ასეთ საქმიანობას.

*–როგორ წარმოგიდგენიათ მიხეილ სააკაშვილთან თანამშრომლობა ამ ერთი წლის განმავლობაში?*

– როგორც ჩვენს ქვეყანას სჭირდება, ისე გავაკეთებთ. სააკაშვილი, ემოცია, რა გააკეთა გუშინ... მე ვფიქრობ, რომ ემოციური მომენტ პოლიტიკოსებისთვის არის გვერდზე გადასადები, ეს საკითხი ჩვენ გვერდზე უნდა გადავდოთ, თუ კანონთან აქვს რამე პრობლემები, ეს საკითხები თავად გაარკვიონ კანონთან და სამართალდამცავსტრუქტურებთან, სასამართლოებში ამტკიცონ თავიანთი სიმართლეები. რაც შეეხება პოლიტიკურ მხარეს, რაც სჭირდება ჩვენი პროგრამის განხორციელებას, რომლითაც მოვედით ჩვენ ხელისუფლების სათავეში, ჩვენი მიზანი უნდა იყოს სწორედ ამ მიმართულებით ნაბიჯების გადადგმა, პრაგმატულად, დინჯად და აქ სააკაშვილი, მერაბიშვილი და ბოკერია არაფერ შუაში არ არიან, ემოციების დრო აღარა გვაქვს ჩვენ.

*– თქვენ საუბრისას ტელევიზიები ახსენეთ და განაცხადეთ, იქნებიან აბსოლუტურად დამოუკიდებლებიო... ჩვენ ვნახეთ როგორ დაუბრუნეს იმედი თავის ძველ მფლობელს. როგორ ფიქრობთ, ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინეს? მიხვდნენ, რომ სასამართლოს გზით მაინც ჩამოერთმეოდათ თუ რით ხსნით გიორგი არველაძის ამ ნაბიჯს?*

– ეს პროცესი არის გარდაუვალი პროცესი. ყველგან, სადაც არის უსამართლობები ჩადენილი, უნდა დაიწყოს სამართლიანობის აღდგენა. ეს სამართლიანობის აღდგენის პროცესია და ჩვენ ნათელი წარმოდგენა უნდა გვქონდეს, რომ ეს პროცესები ერთ კვირაში და ერთ თვეში არ დამთავრდება, მაგრამ პროცესი გულისხმობს იმას, რომ ჩვენს მოქალაქეებს უნდა გაუჩნდეთ სამართლიანობის განცდა, რომ უსამართლოდ დაჩაგრული ადამიანები სამართალს იპოვიან ამ ქვეყანაში, რომელსაც დღეს უკვე ხელმძღვანელობს ბიძინა ივანიშვილი და მისი პოლიტიკური კოალიცია.

*– საუბარია იმის შესახებ, რომ როგორც იმედს, ისე რუსთავი ორს სერიოზული საბიუჯეტო დავალიანებები აქვს. როდესაც ასეთ ტელევიზიებს აბრუნებენ, ეს რამდენად შექმნის პრობლემებს?*

– ამაზე სპეციალისტებმა უნდა დადონ თავისი დასკვნები, მე ერთი ვიცი, რომ ყველა სარეკლამო დრო, რაც კი იყო და რაც არის ძირითადი ფინანსური შემოსავლის წყარო ყველა ტელევიზიისთვის, ჰქონდა ამ ორ ტელეკომპანიას და თუ კიდევ მათ დავალიანებები აქვთ, ეს ძალიან ბევრი კითხვის ნიშნის თემაა.

*– საუბარია, რომ შავი ფულის გათეთრება ხდებოდა საკმაოდ სერიოზულადო...*

– ახლა ჩვენ უკვე ხელისუფლებაში ვართ, ვარაუდებით ლაპარაკი არ გვინდა, ჩვენ უნდა დაველოდოთ დასკვნებს იმედთანაც, რუსთავი ორთანაც და არა მარტო მათთან, არამედ პროკურატურას და საგამოძიებო სტრუქტურებს დასჭირდებათ ძალიან ბევრი თემის და ბევრი ფაქტის გამოძიება. მე ვფიქრობ, რომ ყველაფერზე პასუხი იქნება გაცემული.

*– საზოგადოებაში ყველაზე დიდი მოლოდინი არის იმის, რომ რაც შეიძლება მალე აღდგეს სამართლიანობა და ყველა დამნაშავემ პასუხი აგოს ჩადენილი დანაშაულისთვის.*

– რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი იქნება განხილული. საპარლამენტო საგამოძიებო კომისის შექმნაც იგეგმება ჩვენი მხრიდან და პარლამენტი თავის მხრივ ამ სამართლიანობის აღდგენაში თავის მონაწილეობას მიიღებს, თუმცა ამაში პროკურატურამ და სასამართლომ უნდა ითამაშონ ძირითადი როლი.

*– რამდენად ობიექტურები და სამართლიანები იქნებით?*

– ვეცდებით, რომ ვიყოთ ობიექტურები. ბიძინა ივანიშვილი თავისი ხასიათით და თვისებებით არის სამართლიანი, ობიექტური და დემოკრატი ადამიანი და ასე რომ, საშიშროებებს ამ თვალსაზრისით არ ველოდებით.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეჟავაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თემურ შაშიაშვილი: „ქუთაისში პარლამენტის შენახვა წელიწადში 50 მილიონი დაჯდება“

თეა მარხვაიძე

**პარტია „თეთრები“ ქუთაისში პარლამენტის შენობის გადატანას ერთ-ერთი პირველი აპროტესტებდა. პარტიის ლიდერ თემურ შაშიაშვილის მტკიცებით, ამ გადაწყვეტილების უკან ბოროტი განზრახვა დგას. ჩვენთან ვიღაცებს უკვე დიდი ხანია უნდათ, რომ ქუთაისი საქართველოს დედაქალაქი იყოს.**

„ახალ თაობასთან“ ინტერვიუში შაშიაშვილმა გაიხსენა გასული საუკუნის დასაწყისიც. იმ დროსაც დადგა დღის წესრიგში ეს საკითხი. მაშინ დედაქალაქის გადატანა მავანმა თბილისიდან ქუთაისში მოითხოვა. მაშინ ქუთაისელებმა ამაზე უარი თქვეს. შაშიაშვილი იმედოვნებდა, რომ ქუთაისი ამჯერადაც უარს იტყოდა.

ქუთაისი ამჯერადაც უარზე იყო, მაგრამ მათ არავინ ჰკითხა. 21 ოქტომბერს იქ პარლამენტის სხდომა გაიმართება.

ამასთან დაკავშირებით გუშინ საგანგებო პრესკონფერენცია გამართა შაშიაშვილმა. მან ის მიზეზები დაასახელა, რატომ არ შეიძლება ქუთაისში პარლამენტის შენობის გადატანა. ისაუბრა იმაზეც, რა დაჯდა შენობის აშენება და რა დაგვიჯდება მისი შენახვა. „თეთრების“ ლიდერს მიაჩნია, რომ ეს ულირსი შენობაა და იქ საკანონმდებლო ორგანომ არ უნდა იმუშაოს.

– ქართველმა ხალხმა გაიმარჯვა, გაიმარჯვა ტირანიაზე, ნეოფაშიზმზე, დიქტატურაზე. გამარჯვება იმედისმომცემია, საქართველო 1 ოქტომბრიდან მომავლით ცხოვრობს. თითოეული დეპუტატის მანდატს ჭეშმარიტად ოქროს ფასი დაედო. დეპუტატის ყოველ სიტყვას, ყოველ ნაბიჯს სულგანაბული ელოდება ქართველი ხალხი, სრულიად საქართველოს მოსახლეობა, ახლო და შორი მეზობელი, მოძმე და დაუძინებელი მტერი – შინაური თუ გარე. დეპუტატთა კორპუსის ღირსეული ნაწილი სამ ათეულ ძალად დეპუტატთან ერთად თავის პირველ სხდომას გამართავს მათთვის შეუფერებელ შენობაში, რომელიც აგებულია ულირსი ხელისუფლების მიერ აფეთქებული ქართველთ გმირობის სადიდებელი მემორიალის ნანგრევებზე. ეს ნაგებობა, როგორც პარლამენტის შენობა, ბევრი რამის გამო, ცოდვის მატარებელია, – აღნიშნავს შაშიაშვილი.

ის იხსენებს იმ დღესაც, როცა ქუთაისში მემორიალი ააფეთქეს, რათა ახალი პარლამენტისთვის ადგილი გაეთავისუფლებინათ.

– ოჯახში სამი ნიკოლოზის - დიდი პაპის,



მამისა და შვილის პატრონმა – ნიკოლოზის წმიდა დღესასწაულზე, თავად ნიკოლოზის შვილმა და პატარა ნიკოლოზის მამამ, შვილის დაბადების დღეს, სხვისი შვილის სისხლი დაღვარა; ნგრევის ახირებული და მკრეხელური იდეით შეპყრობილმა დედა-შვილის სიცოცხლე შეიწირა, რამაც ჩვენი დროის ცოცხალ კლასიკოსს სიმწრით ათქმევინა: „ფაშისტები ამათთან ანგელოზები არიან. ღმერთო, ამას რას მომასწარი!“ ქვეყანაში არ დარჩენილა პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი ორგანიზაცია, ცნობილი ხელოვანი თუ აღიარებული მეცნიერი, რომ პროტესტი არ გამოეთქვა ბატონ მერაბ ბერძენიშვილის „ქართულ ბიბლიად“ და „ქართულ ფილოსოფიურ ტრაქტატად“ წოდებული შედევრის ვანდალურად განადგურების გამო, – აღნიშნავს „თეთრების“ ლიდერი.

მისი თქმით, საქართველო დაისაჯა იმისათვის, რომ სატანური ხელისუფლება აიტანა.

– დაისაჯა იმიტომ, რომ ეროვნული ღირსების და პატივის აყრა აიტანა, ქვეყანაში ნგრევის ცნობიერების დანერგვა აიტანა, კანონისა და საკანონმდებლო ორგანოს მოპარვა აიტანა, – ამბობს შაშიაშვილი.

მისი თქმით, პარლამენტი ვერ გააძლიერებს ქუთაისს, დაუპირისპირებს კი ქვეყნის საზოგადოებრივ აზრს.

– ისევე, როგორც ყველა სხვა ქალაქს, ქუთაისს არ სჭირდება ის, რაც ოდნავ დაასუსტებს თბილისს, რადგან თბილისის დასუსტება საქართველოს დაუძლურება იქნება. ძლიერი ქუთაისის გარეშე ძლიერი თბილისი ვერ იქნება. ქუთაისს კი გააძლიერებს არა პარლამენტი, არამედ კულტურის, ბიზნესისა და აკადემიური მეცნიერების განვითარება - ქუთაისის გადაქცევა საუნივერსიტეტო ქალაქად.

პარლამენტის შენობა, როგორც ჩანს, საბოლოოდ 300 მილიონამდე დაჯდება, პარლამენტის შენახვის ხარჯები კი ყოველწლიურად 50 მილიონით გაიზრდება. მიეცით ქუთაისს 300 მილიონი: 200 მილიონი ბიზნესის განვითარებისათვის და 100 მილიონი საუნივერსიტეტო ქალაქად ჩამოსაყალიბებლად და ქუთაისი გახდება უძლიერესი ევროპული განწყობის თანამედროვე ქალაქი, ერთი ბურჯი და გარანტი თბილისის ძლიერებისა და სრულიად საქართველოს ერთიანობისა, – მიიჩნევს იმერეთის ყოფილი გუბერნატორი.

ის ახალ ხელისუფლებას რჩევებსაც აძლევს, თუ რა უნდა მოუხერხონ ქუთაისის პარლამენტს.

– ახლად მშენებარე დაუმთავრებელი შენობა დაუთმეთ სტუდენტ-ახალგაზრდობას, ეს იქნება პირველი ნაბიჯი ქუთაისის საუნივერსიტეტო ქალაქად გადაქცევის საქმეში. მით უფრო, რომ თავის დროზე სწორედ ამ ტერიტორიაზე იყო დაგეგმილი ტექნიკური უნივერსიტეტის მშენებლობა, – ასეთია ექსგუბერნატორის რჩევა.

მისი თქმით, მე-20 საუკუნის დასაწყისში, კომუნისტების ეპოქაში, თუ თბილისში ქალაქის მთავარ პროსპექტზე მეფის ნაცვალის სასახლე მოსწავლე-ახალგაზრდობას გადასცეს, რატომ უნდა გაჭირდეს თავისუფალ და დემოკრატიულ ქვეყანაში ამ შენობის დათმობა საქართველოს მომავალი თაობისათვის.

– მხოლოდ ერთი აუცილებელი დათქმა – ძალიან ბევრს საუბრობენ შენობის კონსტრუქციის არა უბრალო ავკარგიანობაზე, არამედ – არამდგრადობაზე. არადა, ვიდრე გადაეცემა უნივერსიტეტს, ახალგაზრდების უსაფრთხოების დაცვის მიზნით საფუძვლიანად უნდა შემოწმდეს შენობა. თუ მეცნიერ-სპეციალისტთა მიერ ჩაითვლება საშიშად, უნდა მოხდეს დემონტაჟი, ხოლო მის ადგილზე აშენდეს საყდარი.

პარლამენტი კი, როგორც წესი და რიგია, დაუბრუნეთ დედაქალაქს. დაუბრუნეთ იმ შენობას, რომლის კოლონადა და თაღები შემკულია მსოფლიო ხუროთმოძღვრების შედევრების – ქართული ისტორიული ძეგლების ორნამენტებით. შენობას, რომლის წინ იჭედებოდა საქართველოს უახლესი ისტორია. ეს ნაბიჯი სწორი იქნება ისტორიულად,

ეს ნაბიჯი სწორი იქნება პოლიტიკურად, ეს ნაბიჯი სწორი იქნება სამართლებრივად, – ასეთია შაშიაშვილის და მისი პარტიის მოსაზრება.

---

თეა მარხვაიძე

**საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს ფორტუნამ ზურგი აქცია. საპარლამენტო არჩევნების შემდეგ მის პარტიას ერთიმეორის მიყოლებით ტოვებს ხალხი. ჩინოსნები, რომლებიც აქამდე მის მზეს ფიცულობდნენ, ახლა ბიძინობენ. ზოგი კი ქვეყნიდან გარბის. როგორც ამბობენ, ზურაბ ადეიშვილმა ისე დატოვა საქართველო, სააკაშვილმაც კი არ იცოდა.**

ბოროტი ხმები ამბობენ, რომ სააკაშვილს მალე სხვაც ბევრი მიატოვებს. არჩევნების წაგების შემდეგ წაგებული ლიდერის მიტოვება ჩვენში ჩვეულებრივი მოვლენაა. მი-

# სააკაშვილს თვითმფრინავმაც უღალატა



შას ამ დღეებში ბევრმა უღალატა და თუ მისი საქმე არ გამოსწორდა, კიდევ ბევრი უღალატებს. 2 დღის წინ კი მას თვითმფრინავმაც უღალატა.

16 ოქტომბერს ჩვენი პრეზიდენტი ბუქარესტში წავიდა, საიდანაც საქართველოში 18 ოქტომბერს წამოვიდა, მაგრამ ძალიან გაუჭირდა სამშობლოში დაბრუნება. 18 ოქტომბერს საღამოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ საგანგებო განცხადება გაავრცელა, საიდანაც გავიგეთ, რომ საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის თვითმფრინავმა ბუქარესტის აეროპორტში იძულებითი დაშვება განახორციელა.

– თვითმფრინავის აფრენიდან 10 წუთში ბორტმა ბუქარესტის აეროპორტში იძულებითი დაშვება განახორციელა. ამის მიზეზი თვითმფრინავის ტექნიკური ხარვეზი, კერძოდ, შასისთან დაკავშირებული პრობლემა გახდა, – ნათქვამია განცხადებაში.

ოფიციალური ინფორმაციით, თვითმფრინავის ტექნიკური დათვალიერება მოხდა. საქართველოს პრეზიდენტი საქართველოში 18 ოქტომბერს გვიან ღამით დაბრუნდა.

თვითმფრინავის ავარიულად დაშვების ამბავს რუმინული მედიაც გამოეხმაურა.

– საქართველოს პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის თვითმფრინავის დაშვების გადაწყვეტილება თავად პილოტებმა მიიღეს და არა საკონტროლო კოშკმა, – ამის შესახებ რუმინულ მედიას ოტოპენის აეროპორტის სპიკერმა, ვალენტინ იორდაჩემ განუცხადა.

მისივე თქმით, დაშვების მიზეზი გახდა პილოტების ეჭვები, რომ თვითმფრინავს გარკვეული ტექნიკური ხარვეზები ჰქონდა.

ვალენტინ იორდაჩემ აღნიშნა, რომ დაშვების შემდგომ თვითმფრინავს ჩაუტარდა შემოწმება, რის შედეგადაც თვითმფრინავს ტექნიკური ხარვეზები არ აღმოაჩნდა და ფრენისთვის ვარგისად იქნა მიჩნეული.

ისე, რა უცნაურია ცხოვრება, სააკაშვილი ლამის ყოველდღე დაფრინავდა, მაგრამ მის თვითმფრინავს მარცხი არ მოსვლია. ახლა კი, საკმარისი იყო არჩევნები წაეგო, რომ თვითმფრინავმაც უღალატა. მასზეა ნათქვამი, არჩევნებში წაგებულ პრეზიდენტს თვითმფრინავმაც დაუსტუკაო.

---

# ივანიშვილმა შესაძლოა კიდევ ერთი მინისტრობის კანდიდატი შეცვალოს

## არასამთავრობოები დავით დარახველიძის წინააღმდეგ გაერთიანდნენ

თეა მარხვაიძე

**ირშაბათს ბიძინა ივანიშვილმა ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრობის კანდიდატად დავით დარახველიძე წარადგინა. ცოტა ხანში კი ის სერიოზულ სკანდალში გაეხვია. გავრცელდა კადრები,**

სადაც ის ქსენოფობიურ და რასისტულ განცხადებებს აკეთებს.

ამის გარდა მინისტრობის კანდიდატმა არჩევნების დღეს (ის ოცნებიდან) ამბროლაურში იყრიდა კენჭს) აიტივიაი–ს ჟურნალისტს ნინო ოგბაიძეს სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. ნინო ოგბაიძემ მას კითხა, ქონდა თუ არა საარჩევნო უბანზე ყოფნის უფლება.

აი, რა დიალოგი გაიმართა მათ შორის:

*– ბატონო დავით აქ ყოფნის უფლება გაქვთ?*

– როგორ არა მაქვს, აბა რა მაქვს. წადი ახლა თორე ამ იმას (მიკროფონს) გადაგიგდებ, რას დამდევ რა გაახურე საქმე, რატომ დამდევ?

*– გაქვთ უფლება?*

– მაქვს.

*– წარმომიდგინეთ.*

– შენ ვინა ხარ, რომ წარმოგიდგინო... მოგაძრობ მაგ თავს და გადავაგდებ ეხლა იქით, ლაწირაკო მაიმუნო! წაეთრიე ეხლა, გადი იქით.

*– თქვენ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ბრძანდებით, არ გაქვთ უფლება...*

– შენი საქმე არ არის, გადი იქით, თორე გაგხლიწავ, გადაგაგდებ, უზრდელო შენ. უზრდელი ხარ შენ, დედა არა გყავს და მამა.



გუშინ საქართველოში არსებული ცხრა არასამთავრობო ორგანიზაციამ განცხადება გაავრცელა. მათ ბიძინა ივანიშვილისგან მოითხოვეს, რასისტული გამონათქვამების გაკეთების გამო, გადახედოს ლტოლვილთა მინისტრობის თანამდებობაზე დავით დარახველიძის კანდიდატურას.

– არასამთავრობო ორგანიზაციები გამოთქვამენ შეშფოთებას, რომ მინისტრობის კანდიდატის დავით დარახველიძის მიერ ამბროლაურის რაიონში ჩატარებული საარჩევნო კამპანიის დროს გამოყენებული იყო სიძულვილის ენა და რასისტული გამონათქვამები, ისევე, როგორც აგრესიული ტონი მასმედიასთან ურთიერთობისას. აღნიშნული გამონათქვამები ეწინააღმდეგება ევროპულ ფასეულებებს და ევროინტეგრაციის კურსს, რაც საქართველოს საგარეო პოლიტიკის გაცხადებული პრიორიტეტია და არღვევს ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს. ამ ყოველივეს გათვალისწინებით, არასამთავრობო ორგანიზაციები სთხოვენ პრემიერ მინისტრობის კანდიდატს, გადახედოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრობის დასახელებულ კანდიდატურას და უფრო მეტი სიფრთხილე და პრინციპულობა გამოიჩინოს სხვადასხვა თანამდებობებზე დასანიშნი საჯარო მოხელეების შერჩევისას, ხოლო საჯარო მოხელეები მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდონ საჯარო გამონათქვამებს და თავი შეიკავონ სიძულვილის ენის და რასისტული გამონათქვამების გამოყენებისაგან, – ნათქვამია არასამთავრობოების მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

განცხადებას ხელს აწერენ, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, კონსტიტუციის 42-ე მუხლი, საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება, საქართველოს ჟურნალისტთა ეთიკის ქარტია, საქართველოს რეგიონული მედიის ასოციაცია, მრავალეროვანი საქართველო, მწვანე ალტერნატივა, ფონდი ღია საზოგადოება საქართველო.

# გიორგი დემეტრაძე; „იმედი მაქვს, რომ მე და პატიმრების დიდი ნაწილი ოჯახებს ახალ წლამდე ვნახავთ“

პატიმრობაში მყოფი გიორგი დემეტრაძე, საზოგადოებრივი მონიტორინგის ჯგუფის ფარგლებში, „ინტერპრესნიუსის" კორესპონდენტმა #17 დაწესებულებაში მოინახულა. დემეტრაძე ქურდულ სამყაროსთან კავშირისთვის 2010 წელს დააპატიმრეს. მისი საქმე სტრასბურგის სასამართლოშია გასაჩივრებული. გთავაზობთ ინტერვიუს გიორგი დემეტრაძესთან.

*– გიორგი, პატიმრობის განმავლობაში თუ განხორციელებულა თქვენზე რაიმე სახის ზეწოლა?*

– ვიმყოფებოდი ჯერ გლდანის, შემდეგ რუსთავის მეექვსე დაწესებულებაში. ამ ხნის განმავლობაში კარცერში ერთხელ ვარ ნამყოფი, ეს მოხდა მეექვსე განყოფილებაში. უფროსი იყო დათო მარგებაძე. 28 დღე ჩამკეტეს, ბარათი დამიბლოკეს, არც კბილის ჯაგრისი მქონდა, არც ქაღალდი. ჩემი ჩაკეტვის მიზეზი აუხსნელი იყო. 28 დღის განმავლობაში დღეში ერთი საათით მიშვებდნენ, გარდა შაბათ-კვირისა. ამის მერე დავწერე საჩივარი, რომლის შემდეგაც ჩემთან მოვიდა გაგა მკურნალიძე. ვკითხე, რატომ გამომკეტეს. მან კითხვა დამიბრუნა, რატომ არ გიშვებენო? საჩივრის დაწერის მერე მომხსნეს კარცერიდან.

*– სხვა პატიმრების წამების ფაქტები თუ გინახავთ რომელიმე საპყრობილეში?*

– გლდანის ციხეში სულ მესმოდა პატიმართა ყვირილი და განწირული ხმები. ყველაზე მეტად ოლეგ ფაცაციას არ აქებდნენ.



*– თქვენი დაპატიმრების ოფიციალური მიზეზი ცნობილია, თუმცა ამ მოტივს არ ეთანხმები, როგორ ფიქრობ, რატომ დაგაკავეს?*

– დღემდე ვერ გავიგე ეს. არც ვიცოდი, რა მუხლია ქურდული ტრადიციები. ციხეში გავიგე ამ მუხლის შესახებ. ადამიანი, რომელთანაც სატელეფონო საუბარი გამომიქვეყნეს, არის ჩემი მეგობარი. მან მომიკითხა, როგორ ხარო? შემდეგ ერთმანეთს უნდა შევხვედროდით, თუმცა ერთმანეთამდე არც მიგვიშვეს და ერთად დაგვიჭირეს. ჩემს მეგობარს დათუნა გაგნიძეს ჩემს თვალწინ ჩაუდეს იარაღი. ამის მერე გვეუბნებოდნენ, რომ დანაშაული გვეღიარებინა. გვითვლიდნენ პროკურატურიდან და გვევაჭრებოდნენ – აღიარეთ და ამდენი გადაიხადეთო. აღიარების დროს ხელი უნდა დაგვედო ერთმანეთისთვის, რაზეც განვაცხადეთ კატეგორიული უარი. სასამართლოს არანაირი მტკიცებულება არ აქვს. ჩვენ კი გვაქვს მტკიცებულებები, რომ უდანაშაულოები ვართ. საქმეში წერია, რომ მანუჩარ მარგიანმა და ვინმე კურცხალიამ ამოუღეს იარაღი გაგნიძეს. ეს ორი პირი რომ დაიბარეს სასამართლოში, მათ თქვეს, რომ იარაღი არც ერთს არ ამოუღია გაგნიძისთვის. მათ კითხეს, ვინ ამოუღო იარაღი, თუმცა თქვეს, რომ არ იცოდნენ ამის შესახებ. გვედავებიან, რომ კიევში იყო ქურდული გარჩევები და იქ ერთად იყავითო. დათუნა ჩემს ჩასვლამდე იყო კიევში და საზღვარი, შესაბამისად, სხვადასხვა დროს გადავკვეთეთ. ეს მტკიცებულებაც მივიტანეთ, მაგრამ არ გაითვალისწინეს. ჩვენ მოვითხოვეთ იარაღზე ექსპერტიზაც იმის დასადგენად, რომ დათუნას ანაბეჭდები იყო თუ არა იარაღზე, მაგრამ ექსპერტიზა არ ჩაგვატარებინეს.

*– ხომ არ ფიქრობთ, რომ კალაძესთან მეგობრობის ფაქტორიც იყო თქვენი დაკავების საფუძველი?*

– შეიძლება ასეა, მაგრამ ვერაფერი გავიგე. აღიარებითი ჩვენება რომ არ მივეცით, ვირთხა მოსამართლე ჯემალ კოპალიანმა გაგვასამართლა ასე.

*– სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ძველი ხელმძღვანელობის პირობებში თუ გქონდათ შიშის ფაქტორი?*

– შიშის ფაქტორი არასდროს არ მქონია. პირველი ღირსება, კაცობა და ადამიანობაა. შიში რომ მქონოდა, დანაშაულს ვაღიარებდი.

*– სამედიცინო მომსახურება როგორია დაწესებულებაში?*

– ძალიან ცუდი იყო. ახლაც ალბათ იგივე მდგომარეობაა. სათანადო მკურნალობას ვერ უწევენ ავადმყოფებს. არიან ადამიანები, ვინც ვერ ლაპარაკობენ, ვერ დადიან, ეტლებზე სხედან და აქ იმყოფებიან პირობების გარეშე.

*– როგორ შეაფასებდით თქვენი მეგობრის, კახი კალაძის მინისტრის თანამდებობაზე დანიშვნას?*

– კახი ნიჭიერია. როგორც ფეხბურთში იყო ძალიან მაგარი, ამ სფეროსაც აუღებს ალღოს და წარმატებებსაც მიაღწევს.

*– აგვისტოში პრეზიდენტმა შეგიწყალათ. თუ გქონდათ სურვილი, რომ შეწყალება შეგხებოდათ ან თუ გქონდათ განცხადება ამის თაობაზე დაწერილი?*

– ფურცელი მივიღე, სადაც ეწერა, რომ სასჯელი გამინახევრდა. მე არც მითხოვია შეწყალება და არც ვთხოვდი. თვითონ არ გახდეს სააკაშვილი ცოტა ხანში შესაწყალებელი.

*– ახალი ხელისუფლების პირობებში მოითხოვ თუ არა, რომ თქვენი საქმე გადაიხედოს?*

– ჩემს მიმართ განხორციელებული უსამართლობის შესახებ ყველამ იცის – ცამდე მართალი ვარ და იმედი მაქვს, რომ როგორც მე, ისე პატიმრების დიდი ნაწილი საკუთარ ოჯახებს ახალ წლამდე ნახავენ. საქმეების გადახედვას წლები დასჭირდება, თანაც იმ ნაძირალა მოსამართლეების ხელში, ვინც დავალებებს ასრულებდნენ, რაც ცუდია და უკანონო პატიმრები უნდა გაგვათავისუფლონ.

*– გათავისუფლების შემდეგ რა გეგმები გაქვთ? კალაძის მსგავსად, ხომ არ გეგმავთ სპორტიდან პოლიტიკაში წასვლას?*

– 36 წლის ვარ და აქტიურ ფეხბურთს ველარ დავუბრუნდები. შემდგომში ვნახოთ. უსაქმურად არ დავრჩები. პატიმრობის პერიოდში მეჩვიდმეტე დაწესებულებაში ფეხბურთს ხშირად ვთამაშობდი პატიმრებთან ერთად. აქ თითქმის ყველა ვარჯიშობს. რაც შეეხება პოლიტიკას, არ ვიცი, ჯერ არ გადამიწყვეტია. რომ გავალ, ცოტა ხანს დავისვენებ და შემდეგ მოვიფიქრებ, რა უნდა ვქნა, თუმცა ძალიან მაწუხებს პატიმრების ბედი და თუ გავედი ყველაფერს გავაკეთებ, რომ უკანონო პატიმრებს დავეხმარო. ამ დაწესებულებაში ნახევარზე მეტი პატიმარი მეორე-მესამე ნაწილით სხედან. აქედან 99% შეთითხნილი საქმეებია, ნარკოტიკის ჩადების გამო იმყოფებიან ციხეში. ამის გარჩევა, ვის რამდენი აბი ჩაუდეს, წლების საქმეა და უკანონო პატიმრები უნდა გათავისუფლდნენ.

*– ცოტა ხნის წინ ციხეებში პატიმართა წამების ამსახველი კადრები გავრცელდა. რა რეაგირება იყო ამ დაწესებულებაში?*

– ყველამ იცოდა, რომ პატიმრებს აწამებდნენ, მაგრამ კადრები რომ გავრცელდა, ჩვენზე ძალიან იმოქმედა. ყველაზე დამნაშავეები არიან ის მოსამართლეები, რომლებიც ამდენ ხალხს უშვებენ ციხეებში. პირველ რიგში ასეთი პატიმრების საქმეები უნდა გადაიხედოს. მე კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ თუ გავალ აქედან, რითაც შემეძლება, პატიმრებს დავეხმარები. № 6 დაწესებულებაში ჩემთან იჯდა ბიჭი, რომელსაც ტერორისტულ აქტს აბრალებდნენ. მან საერთოდ არ იცოდა, ტერორიზმი რა იყო. რომ გავალ, მას დავეხმარები, რითაც შემეძლება. უამრავი ადამიანი ზის, რომელსაც შეხება არ ჰქონია დანაშაულთან. შეგიძლია შეხვიდე №6-ში?

*– კი, შემიძლია.*

– ორი წუთი გთხოვ, რომ ნახო ავთანდილ ძძუა. ესაა, ვისაც ტერორისტული აქტის მოწყობაში ადანაშაულებენ. აბსოლუტურად უდანაშაულოა და პირველად მართლა ციხეში გაიგო, რა არის ტერორიზმი. ციხემ კარგი რაც მომცა, ის არის, რომ ბევრი ვაჟკაცი და კარგი ადამიანი გავიცანი. მთელი ცხოვრება რომ აქტიურ ცხოვრებას მივსდევდი და უცბად უმიზეზოდ გამომკეტეს, ფსიქოლოგიურად ძალიან ძნელი იყო, მაგრამ უნდა გავუძლო და ვუძლებ კიდეც. ყველაზე მეტად ვინც მენატრება, ჩემი ოჯახია, ჩემი და, დის შვილი, მამა და მეგობრები. იმედი მაქვს, მალე გავთავისუფლდები.

ინტერპრესნიუსი

## გოჩა მალანია; „თრუსოს ხეობაში ნახშირმჟავას მოპოვებას გზის გაკეთებისთანავე დავიწყებთ“



თრუსოს ხეობაში ნახშირმჟავა აირის მომპოვებელი ჭაბურღილი, რომლის ამუშავებაც აგვისტოს ბოლოდან იგეგმებოდა, ჯერ არ ამოქმედებულა. როგორც მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრს ჭაბურღილიდან ცე2-ის მოპოვების ლიცენზიის მქონე კომპანიის შპს „კასარას“ მფლობელის მამამ გოჩა მალანიამ განუცხადა, ჭაბურღილი თრუსოს ხეობაში გზის გაკეთებისთანავე ამოქმედდება.

„თრუსოში გზა ჩამოიშალა, ჩამოინგრა, ვერ გაკეთდა, არ გაკეთდა და ამიტომ შეფერხდა ნახშირმჟავას მოპოვების პროცესი. როგორც გზა გაკეთდება, ჭაბურღილი ამოქმედდება, ანუ უახლოეს პერიოდში,“ – განუცხადა მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრს გოჩა მალანიამ.

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგებლის დავით ღუდუშაურის განცხადებით, კომპანიას თრუსოს ხეობაში ნახშირმჟავა აირის მოპოვებისთვის შესაბამისი დოკუმენტაცია და ნებართვა გამგეობისთვის ჯერ არ წარუდგენია.

„თუ ნახშირმჟავას მოპოვება უნდათ, შესაბამისი დოკუმენტაცია და ნებართვა უნდა ჰქონდეთ, რომელიც გამგეობას უნდა წარმოუდგინონ. ჩვენთან ასეთი დოკუმენტაცია ჯერ არავის წარმოუდგენია,“ – განუცხადა დავით ღუდუშაურმა მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრს.

ეკოლოგების შეფასებით, თრუსოს მინერალური წყლების საბადოებში ნახშირმჟავა აირის მოპოვების განახლების შემთხვევაში, რეკრეაციული დანიშნულების უნიკალურ ხეობას და ტრავერტინებს განადგურება ემუქრება. თრუსოს მინერალური წყლების საბადოებიდან ცე2-ის მოპოვების ლიცენზია შპს „კასარას“ 2005 წლიდან აქვს. „კასარას“ მფლობელები „ნაციონალური მოძრაობიდან“ ყაზბეგის მაჟორიტარი დეპუტატობის ყოფილი კანდიდატის გოჩა მალანიას შვილი აკაკი მალანია და შპს „ქროსვეისი“ არიან, რომელიც სასტუმრო „ჰოლიდეი ინ“-ის მფლობელს თეიმურაზ უგულავას ეკუთვნის.

„კასარამ“ თრუსოს ხეობაში ცე2-ის მოპოვებაზე 25-წლიანი ლიცენზია 2005 წლის 27 ოქტომბერს მიიღო. კომპანიას ნახშირმჟავა აირი გაზირებული სითხის სახით საგანგებო ჭურჭელში უნდა ჩამოესხა და მისი რეალიზაცია მოეხდინა. 2008 წლის 1 აგვისტოს, ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ გარემოს დამცველების პროტესტის გამო „კასარა“-ს თრუსოს ხეობაში წიაღით სარგებლობის ლიცენზია გაუუქმა, რადგან თრუსოს ცნობილი ტრავერტინები, მინერალური წყლებისგან წარმოქმნილი თეთრი, ნარინჯისფერი და მოვარდისფრო კიროვანი დანალექი, რომელიც ხეობაში უამრავ ტურისტს იზიდავს, გაშავდა. „კასარამ“ ლიცენზიის გაუქმების ბრძანება სასამართლოში გაასაჩივრა. სასამართლომ სარჩელი დააკმაყოფილა და ლიცენზიის გაუქმების თაობაზე ეკონომიკის სამინისტროს ბრძანება ბათილად სცნო.

მცხეთა-მთიანეთის საინფორმაციო ცენტრი

## ახალი რეგლამენტით, პარლამენტმა შემცირებული გრაფიკით უნდა იმუშაოს

ახალი პარლამენტი სასესიო მუშაობას განახლებული წესებით შეუდგება. ქუთაისში გადასულ პარლამენტს ისეთივე სამუშაო რეჟიმი, რაც თბილისში ჰქონდა, აღარ ექნება.

ახალი რეგლამენტით, ძველმა პარლამენტმა მომავალს სასესიო მუშაობის ხანგრძლივობა შეუმცირა და გაუმარტივა – ახალი პარლამენტისთვის პლენარული სხდომების რაოდენობა მცირდება, მუშაობა კი ერთი საათით გვიან დაიწყება.

მას შემდეგ, რაც ცესკო 1-ე ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმს გამოაქვეყნებს, პარლამენტის ახალი რეგლამენტი შედის ძალაში. აღნიშნული დოკუმენტი პარლამენტმა ბოლო საგაზაფხულო სესიაზე მიიღო და 2012 წლის მოწვევის პარლამენტის საქმიანობის მიმართულებით რიგი სიახლეები დააწესა, საიხელ სასესიო მუშაობასაც ეხება.

პარლამენტის სესია პლენარული და კომიტეტების სხდომებისაგან შედგება, რომელიც წინა მოწვევის პარლამენტებში ორკვირიანი ციკლით ტარდებოდა და კვირამონაცვლეობით იმართებოდა. რეგლამენტის გათვალისწინებით, პირველი კვირა კომიტეტების მუშაობას და ადგილებზე ამომრჩევლებთან შეხვედრას უნდა დასთმობოდა, ხოლო მეორე კვირა – პლენარულ სხდომებს.

ახალი რეგლამენტის თანახმად, პლენარული და საკომიტეტო სხდომები ერთი კვირის განმავლობაში ჩატარდება. მეორე კვირა კი, ამომრჩევლებთან შეხვედრებს და კომიტეტების მუშაობას უნდა დაეთმოს. ახალ რეგლამენტში კვირამონაცვლეობითი წესის დაცვის აუცილებლობაზე არაფერია ნათქვამი.

გარდაამისა, მცირდება რეგლამენტით განსაზღვრული სხდომების გამართვის დღეები და საათები. კერძოდ, თუკი ძველი რეგლამენტით, პლენარული სხდომები, პლენარული სხდომების კვირის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათსა და პარასკევს უნდა გამართული, ახალი რეგლამენტი პლენარული სხდომების დღედ მხოლოდ ოთხშაბათსა და პარასკევს განსაზღვრავს. რაც შეეხება სხდომის გამართვის დროს, ის ახალ პარლამენტში ერთი საათით გვიან დაიწყება. აქამდე სხდომები 11.00-დან 19.00 საათამდე იმართებოდა, ხოლო 14.00 საათიდან 16.00 საათამდე ცხადდება შესვენება. ახალი რეგლამენტით კი, პლენარული სხდომა 12.00 საათზე დაიწყება და 19.00 საათამდე გაგრძელდება. შესვენება 15.00-დან 16.00 საათამდე გამოცხადდება.

ამასთან, ჯერ კიდევ მოქმედი რეგლამენტისგან განსხავებით, ახალ რეგლამენტში უფრო მკაფიოდ არის რეგლამენტირებული პარლამენტის პლენარული სხდომის 21.00 საათამდე გაგრძელების საკითხი. აღნიშნულთან დაკავშირებით ძველ რეგლამენტში მხოლოდ ის არის ნათქვამი, რომ პლენარული სხდომა პარლამენტის გადაწყვეტილებით შეიძლება 21.00 საათამდე გაგრძელდეს. ახალი რეგლამენტის გათვალისწინებით, პარლამენტის პლენარული სხდომის 21.00 საათამდე გაგრძელების საკითხი დამსწრეთა ხმათა უმრავლესობით, მაგრამ არანაკლებ სიითი შემადგენლობის ერთი მეხუთედისა, უნდა გადაწყდეს.

პარლამენტის რეგლამენტში შეტანილი ეს ცვლილებები მის განხილვისას იმთავითვე კრიტიკის საგანი გახდა საპარლამენტო ოპოზიციის მხრიდან, რომლებიც ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ ახალი რეგლამენტით დეპუტატებს მეტი თავისუფალი დრო დარჩათ, მაშინ როცა პარლამენტის ქუთაისში გადატანის ერთ-ერთ მიზეზად „ქუთაისისთვის შველა“ სახელდებოდა.

ინტერპრესნიუსი

## შარაძის მკვლელობაში ბრალდებული ხელახალ გამოძიებას ითხოვს



პროფესორ გურამ შარაძის მკვლელობაში ბრალდებული გიორგი ბარათელი აცხადებს, რომ გურამ შარაძე მას არ მოუკლავს და საქმის ხელახალ გამოძიებას ითხოვს.

ამის შესახებ №1 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფმა ბარათელმა გუშინ ჟურნალისტ ნინო მიქიაშვილს, „წინააღმდეგობის მოძრაობის“ ლიდერს სოსო მანჯავიძეს და დიმიტრი ლორთქიფანიძეს განუცხადა, რომლებიც მასთან ციხეში იყვნენ შესულები.

ბარათელი ამბობს, რომ გურამ შარაძე არ მოუკლავს და სასამართლოსთვის აღიარებითი ჩვენების მიცემა მისი სიცოცხლისა და უსაფრთხოებისთვის აუცილებელი იყო.

ჟურნალისტ ნონო მიქიაშვილის განცხადებით, ბარათელმა გურამ შარაძის ქალიშვილ რუსუდან შარაძესთან მხოლოდ სამი სიტყვა – „შენ მართალი იყავი“ დააბარა.

ბარათელის მოსანახულებლად 22 ოქტომბერს ციხეში ადვოკატი მამუკა ნოზაძე შევა.

როგორც მამუკა ნოზაძემ „მედიანიუსს“ განუცხადა, გიორგი ბარათელი გურამ შარაძის მკვლელობასთან დაკავშირებით სიმართლის თქმას აპირებს.

„ორშაბათს შევალ გიორგი ბარათელთან ციხეში. იგი აპირებს შარაძის მკვლელობასთან დაკავშირებით სიმართლე თქვას. შესაბამისად, ამის მერე სამართლებრივი რეაგირება მოხდება იმ უკანონობასთან დაკავშირებით, რაც სამართალდამცავმა ორგანოებმა შარაძის მვლელობის საქმესთან დაკავშირებით განახორციელეს. გურამ შარაძის ქალიშვილი რუსუდან შარაძე თავიდანვე ამბობდა, რომ გიორგი ბარათელი არ იყო მამამისის მკვლელი“, – აცხადებს მამუკა ნოზაძე.

მისი თქმით, დღევანდელ სისხლის სამართლის კოდექსში არსებობს მუხლი– „ახლად გამოვლენილი გარემოება“, რომლის საფუძველზეც ისინი, საქმის გადასინჯვის მოთხოვნით სააპელაციო სასამართლოს მიმართავენ.

„გარდა ამისა, ახლად მოსული ხელისუფლება ყველა გახმაურებული საქმის გადასინჯვას აპირებს, როდესაც ახალი პარლამენტი ფუნქციონირებას დაიწყებს და კანონმდებლობაში შევა ცვლილება, მოხდება უკანონო განაჩენების, მიჩქმალული მკვლელობების, რომლებიც არ იყო გამოძიებული, გამოძიება“-აღნიშნა ნოზაძემ.

შეგახსენებთ, რომ პროფესორ გურამ შარაძეს 2007 წლის 20 მაისს თბილისში, მელიქიშვილისა და შანიძის ქუჩების გადაკვეთაზე, ცეცხლსასროლი იარაღიდან სამჯერ ესროლეს, რის შედეგადაც ის ადგილზე დაიღუპა.

გურამ შარაძის მკვლელობის საქმესთან დაკავშირებით სამართალდამცველებმა გიორგი ბარათელი დააკავეს, თუმცა შარაძის ოჯახი ამ გადაწყვეტილებას არ ეთანხმება და მკვლელობის პოლიტიკურ მოტივზე საუბრობს.

მედიანიუსი

# ადეიშვილმა და ცისკარიშვილმა ხალხს ქონება წაართვეს

ნათია ხურცილავა

**„ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის" ოფისში უფლებადამცველმა ჯაბა ჯიშკარიანმა ბიზნესმენ ილია დალაქიშვილის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებზე მის ადვოკატთან და მამასთან ერთად გუშინ სპეციალური პრესკონფერენციაზე ისაუბრა.**



ილია დალაქიშვილის ადვოკატის განცხადებით, ვარდების რევოლუციის შემდეგ, „ზურაბ ადეიშვილის პირადი დაინტერესებით (ამის უამრავი მტკიცებულება მაქვს) კახეთის რეგიონში ბიზნესცენტრის შექმნის საფუძვლით ილია დალაქიშვილის მიმართ ხორციელდებოდა ზურაბ ადეიშვილის, მისი ძმის, დავით ადეიშვილის, პეტრე ცისკარიშვილის, ვინმე ნოდარ საქუშვილის, ვანო კევლიშვილის, ლევან კენჭაძის ხელმძღვანელობით ზეწოლა. ამოცანა იყო, რომ ეს ადამიანი ნაციონალური მოძრაობის ჯიბის ბიზნესმენად ექციათ, რასაც ვერ მიაღწიეს. კენჭაძემ პირადად მოსთხოვა ილია დალაქიშვილს 50 ათასი დოლარი, რომ ვანო მერაბიშვილისთვის მიეტანა პარტიული საქმიანობისთვის. ეს მოხდა 2004 წელს, როდესაც ახალი მოსულები იყვნენ ხელისუფლებაში. – ამბობს ადვოკატი ზურაბ თოდუა.

ილია დალაქიშვილის ინტერესების დამცველმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ილია დალაქიშვილი მაშინდელ გენერალურ პროკურატურაში დაიბარეს, გარიგება შესთავაზეს ბიუჯეტის სასარგებლოდ მილიონ-ნახევარი ლარის შეტანის სანაცვლოდ.

– გენერალურ პროკურატურაში დალაქიშვილს გიორგი ლაცაბიძემ მოსთხოვა მილიონ-ნახევარი ლარის შეტანა ბიუჯეტში სანაცვლოდ კი დალაქიშვილის 16 კომპანიის მიმართ, რომლის მიმართ აღძრული იყო სისხლის სამართლის დევნა მისი შეწყვეტა. ფული, მილიონ ნახევარი ქეშის სახით არ გააჩნდა ილია დალაქიშვილს, მაგრამ მის საკუთრებაში იყო „პირიმზის" მე-6 სართული, რომელიც ნაყიდი ჰქონდა აუქციონზე. ეკონომიკის სამინისტრომ შეაფასა ეს ქონება და მათი შეფასებით მილიონ ნახევარ ლარად იქნა შეფასებული და ჩუქების ხელშეკრულებით, როგორც ხდებოდა ლამის ნოტარიუსებთან ეს ქონება დათმობილი იქნა ეკონომიკის სამინისტროს სასარგებლოდ. არც ეს პირობა გამოდგა საკმარისი იმისთვის, რომ დევნა-შევიწროვება შეწყვეტილიყო ამ ადამიანის მიმართ. რამდენიმე თვეში მის მიმართ სისხლის-სამართლის საქმე აღიძრა 192-ე მუხლით უკანონო სამეწარმეო საქმიანობის ბრალდებით. – ამბობს ადვოკატი ზურაბ თოდუა.

როგორც ცნობილი გახდა, დაკავებული იყო ილია დალაქიშვილის მამა თამაზ დალაქიშვილი.

– დაკავებული იქნა თამაზ დალაქიშვილი, ფაქტიურად მძევლად ჰყავდათ. მამის თავისუფლების სანაცვლოდ ილია დალაქიშვილის ჩაბარებას ითხოვდნენ. ამ დროს მას საქართველოს საზღვრები ჰქონდა დატოვებული, საზღვარგარეთ იმყოფებოდა. სამი თვის შემდეგ გამოცხადდა ილია დალაქიშვილი, მაგრამ უკვე მასაც მისჯილი ჰქონდა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა. ამავე დროს უძრავ-მოძრავი ქონება, თუ რამის წაღება შეიძლებოდა, თან წაიღეს. – განაცხადა ადვოკატმა.

ოთხწლიანი პატიმრობის ვადის მიწურულს, როგორც ადვოკატმა განაცხადა, თამაზ დალაქიშვილს რუსთავის ნომერ პირველ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ჩხრეკის შედეგად აკრძალული ნივთები 50 ლარი და მობილური ტელეფონი უპოვეს.

– ეს აღმოჩნდა საკმარისი იმისთვის, რომ მის წინააღმდეგ გაეგრძელებინათ პატიმრობის ვადა ერთი წლით, რაც საპროცესო შეთანხმებით, 3 ათასი ლარის გადახდით დასრულდა. – განაცხადა ადვოკატმა.

ილია დალაქიშვილი, ადვოკატის განცხადებით, 2010 წლის 6 მაისს პატიმრობიდან განთავისუფლდა. სწორედ ამ პერიოდში, როგორც თოდუამ ჟურნალისტებს განუცხადა, ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპის სასამართლოში გაგზავნილ იქნა სარჩელი და ადვოკატის ცნობით, ევროპის სასამართლომ სარჩელი წარმოებაში მიიღო კიდეც.

– დალაქიშვილმა პატიმრობის შემდეგ კვლავ განაგრძო ბიზნესსაქმიანობა, რომელიც ნავთობპროდუქტებს უკავშირდება. სწორედ ამ პერიოდში მას სახლში ესტუმრნენ სააკაშვილის ხელისუფლების მაღალჩინოსნები და ულტიმატუმი წაუყენეს, რომ სარჩელი გამოეტანათ ევროპის სასამართლოდან. 2010 წლის 13 მაისს სარჩელი გამოვიტანეთ სტრასბურის სასამართლოდან. დალაქიშვილმა დაიწყო საქმიანობა და ზუსტად ერთი წლის თავზე ის დააკავეს თავისი კომპანიის ყველა თანამშრომელთან ერთად, 28 ადამიანი იქნა ერთ ღამეს სპეცოპერაციის შედეგად დაკავებული. მეორედ დალაქიშვილის დაკავება დაკვეთილი იყო იმჟამინდელი იუსტიციის მინისტრის, ზურაბ ადეიშვილის მიერ. მე მაქვს ამის მტკიცებულება, როდესაც ჩამოყალიბდება თავისუფლი, მიუკერძოებელი სასამართლო, პროკურატურა. მე მივმართავ მათ და ამ მტკიცებულებებს წარვუდგენ. მე მაქვს მტკიცებულება, თუ როგორ აძალებდნენ მოწმეებს, რომ მიეცათ ჩვენება ილია დალაქიშვილის წინააღმდეგ. – განაცხადა ადვოკატმა.

თამაზ დალაქიშვილი, ილია დალაქიშვილის მამა:

– ყოფილი პატიმარი ვარ, ხუთი წელი ვიჯექი, უკანონო სამეწარმეო საქმიანობის ბრალდებით გამასამართლეს. მინდა, რომ სამართლიანობა აღდგეს და ყველაფერს თავისი სახელი დაერქვას.

ჯაბა ჯიშკარიანი, უფლებადამცველი:

– კიდევ ერთხელ მოვისმინეთ საქმე, თუ როგორ ურევია ნაციონალური მოძრაობის კლანის, ადეიშვილ-მერაბიშვილის ხელი კიდევ ერთი ქართული ოჯახის გაუბედურებაში. ყველამ კარგად იცის, ცისკარიშვილი, ადეიშვილი თუ რას წარმოადგენდნენ. კონკრეტულად რას წარმოადგენს ზურაბ ადეიშვილი, ეს კარგად იცის საზოგადოებამ. ის მართლაც არის რუხი კარდინალი. ადეიშვილის ლანდად გვევლინებოდა პროკურორი ფალავა პროცესზე, რომელზეც ილია დალაქიშვილს 30- წლიანი პატიმრობა მიესაჯა. ასევე მოსამართლე მაია თეთრაული არის ის ადამიანი, რომელმაც პოლიტპატიმრებს, მათ შორის ირაკლი ბათიაშვილს გამოუტანა სასჯელი, ის პირდაპირ 24-25-წლიან სასჯელს არიგებდა. 2004 წლიდან გრძელდება დალაქიშვილების ოჯახის განადგურება. ოჯახის შვილი, მამა დაპატიმრებულ იქნენ და პატიმრობის წლებს აბსურდული მიზეზებით უხანგრძლივებდნენ. ასევე ამ ოჯახმა 7 მილიონი ლარის ოდენობის ქონება დაკარგა. ყველა მოქალაქეს მინდა მოვუწოდო, რომ მსგავს ფაქტებს ნუ დამალავენ და ამის შესახებ ღიად თქვან, რადგან ეს დღეს საშიში არ არის. თუ გვინდა, რომ სამართლიანობა ვიპოვოთ, ერთხელ და სამუდამოდ სამართლიანობის უზენაესობა დამკვიდრდეს ამ ქვეყანაში, ასეთ ფაქტებზე ხმამაღლა უნდა ვთქვათ. მოქალაქეებს მოვუწოდებ, მსგავს უსამართლობაზე ინფორმაცია მიაწოდონ ჟურნალისტებს, უფლებადამცველებს, ახალ პროკურატურაში, ახალ პარლამენტში შეიტანონ მსგავსი საქმეები, რომ ყველა დეტალი ვიცოდეთ, თუ როგორ ახდენდა სახელმწიფო მანქანა ადამიანებზე ზეწოლას, როგორ ანადგურებდა მათ მომავალს. მინდა ვთხოვო ბატონ არჩილ კბილაშვილსა და ქალბატონ თეა წულუკიანს, რომ დაინტერესდნენ მსგავსი საქმეებით და ყველა დამნაშავე თავისუფალი სასამართლოს მიერ იქნას კანონიერად დასჯილი. საზოგადოება არის ნდობით აღჭურვილი და მომლოდინე ძველი საქმეების ადეკვატურად და სამართლიანად გამოძიების. ამ მოლოდინში ვიყავით თითოეული ჩვენგანი წლების განმავლობაში.

ნათია ხურცილავა

# საზოგადოებრივი მაუწყებლის შემოწმებას ითხოვენ

**კოალიცია „მედიის ადვოკატურებისთვის“ მედია გარემოს გაუმჯობესებისთვის ახალი მოწვევის პარლამენტს რამდენიმე წინადადებით მიმართავს. წინადადებათა ჩამონათვალი სულ შვიდ ინიციატივას მოიცავს და მათი პრეზენტაცია გუშინ სასტუმრო „თბილისი მარიოტში“ შედგა.**

„მედიის ადვოკატურებისთვის“ უპირველესად საზოგადოებრივ მაუწყებელში სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ არაგეგმური შემოწმების საკითხს აყენებენ.

– ვფიქრობთ, რომ საქართველოს პარლამენტმა უნდა მოითხოვოს, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა განახორციელოს არაგეგმური აუდიტი საზოგადოებრივი მაუწყებლის საქმიანობის შესასწავლად და გამოვლენილი შედეგები წარუდგინოს საქართველოს პარლამენტს და საზოგადოებას. აღნიშნული ღონისძიებების განხორციელების აუცილებლობა ცხადყო უკანასკნელ დღეებში განვითარებულმა მოვლენებმა, კერძოდ, საზოგადოებრივი მაუწყებლის საგადასახადო დავალიანების ჩამოწერამ და ტელეკომპანია „პიკ“-ის მმართველ კომპანია „ალანია“-სთან წარმოქმნილმა კონფლიქტმა. გარდა ამისა, სახელმწიფო აუდიტის შემოწმების დაწყებამდე საზოგადოებრივმა მაუწყებელმა უნდა გაასაჯაროოს ფინანსური ხარჯები და ტელეკომპანია „პიკ“-ის მმართველ კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულება და სხვა მნიშვნელოვანი დოკუმენტები. ამასთან, მნიშვნელოვანია იმ ნორმების გადახედვაც, რომელიც სამეურვეო საბჭოს ფორმირების წესს ადგენს, – განაცხადა „თბილისი მარიოტში“ გამართულ პრესკონფერენციაზე კოალიციის წარმომადგენელმა თამარ კორძაიამ.

ასევე გუშინ „მედიის ადვოკატირებისთვის“ წარმომადგენლებმა „მასთ ქერისა“ და „მასთ ოფერის“ პრინციპების მუდმივად დაკანონება მოითხოვეს. გარდა ამისა, წინადადებათა ჩამონათვალში მოხდა სასამართლო სხდომებზე ფოტო და ვიდეო გადაღების, ასევე აუდიო ჩანაწერის უფლების მინიჭების საკითხი.

– ეს გაზრდის მართლმსაჯულებისადმი ნდობას, კოალიციის ორგანიზაციას მომზადებული აქვს პროექტი და მიზანშეწონილად მიგვაჩნია დაუყოვნებლივ დაიწყოს [illegible]ვა, – აღნიშნა კორძაიამ.

აღნიშნულის გარდა, „მედიის ადვოკატირებისთვის“ მოითხოვს პარლამენტმა იმუშაოს ინფორმაციის თავისუფლების და ხელმისაწვდომობის მიმართულებით. ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლისთვის შექმნას სპეციალური კომისია, რომელშიც გაერთიანდებიან როგორც შესაბამისი უწყებების, ისე მედიის განვითარებით დაინტერესებული არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ბაზარზე მოქმედი ორგანიზაციების წარმომადგენლები და ექსპერტები. რაც შეეხება დანარჩენ მოთხოვნებს, კოალიცია ახალი მოწვევის პარლამენტს აჭარის ტელევიზიის სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრასაც ითხოვს.

– მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონით, ტელევიზიის სტატუსის განსაზღვრის საკითხი 2011 წლის ნოემბრამდე იყო გადატანილი, თუმცა აჭარის ტელევიზიის სტატუსი დღემდე განუსაზღვრელი რჩება, რადგან კანონში ცვლილება არ შესულა. ამჟამად ტელევიზია სამართლებრივი რეგულირების სფეროში არ ექცევა, მნიშვნელოვანია, რომ ამ მიმართულებით გადაიდგას კონკრეტული ნაბიჯები, – განაცხადა კორძაიამ.

კოალიცია იმ ჟურნალისტთა საქმეების გამოძიებასაც მოითხოვს, რომლებსაც გასული თვეების განმავლობაში პროფესიული მოვალეობის შესრულებაში ხელი შეეშალათ; წინადადებათა ჩამონათვალში მოხვდა კომუნიკაციების ეროვნული კომისიის ფორმირების წესისა და ფუნქციების გადახედვის აუცილებლობაც.

– პრაქტიკამ დაადასტურა, რომ მიუხედავად მაღალი საკანონმდებლო გარანტიებისა, ვერ მოხერხდა კომუნიკაციების ეროვნული კომისიის რეალურად დამოუკიდებელ ორგანოდ ჩამოყალიბება. მიგვაჩნია, რომ აუცილებელია კომისიის ფორმირების ახალი წესის შემუშავება, აგრეთვე მთელი რიგი ფუნქციების გადახედვა და უფლებამოსილებების განსაზღვრა, – აღნიშნა კოალიციის წარმომადგენელმა თამარ კორძაიამ.

როგორც ცნობილია, კოალიცია „მედიის ადვოკატირებისთვის“ 12 არასამთავრობო ორგანიზაციას აერთიანებს. ორგანიზაციის წარმომადგენლები იმედს გამოთქვამენ, რომ ახალი პარლამენტი მათი მოთხოვნების განხილვას დროულად დაიწყებს, თავის მხრივ კი, „მედიის ადვოკატირებისთვის“ წარმომადგენლები მზად არიან, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მთავრობის წევრებთან კონსულტაციები აწარმოონ.

ნათია ხურცილავა

# აშშ-ს ელჩმა ბათუმი მოგვიწონა

**ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა საქართველოში რიჩარდ ნორლანდმა, საქართველოზე, როგორც ტოლერანტ ქვეყანაზე ისე ისაუბრა. ელჩის განცხადებით ეს სტატუსი მნიშვნელოვანია, არა მხოლოდ შემწყნარებლური თვალსაზრისით, არამედ, როგორც ბიზნეს, ეკონომიკური კლიმატის შექმნის ერთ-ერთი ფაქტორი.**

– ბათუმი მოიაზრება როგორც ერთ-ერთი ფლაგმანი ტოლერანტული განწყობისა, – ამის შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა საქართველოში რიჩარდ ნორლანდმა ქალაქ ბათუმის მერთან, ჯემალ ანანიძესთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა.

– მიმაჩნია, რომ რასაც ვხედავთ ბათუმში, არის ამსახავი იმის, თუ რა პროცესები მიმდინარეობს საქართველოში. ნამდვილად ვხედავთ იმას, რომ ორივე მხარე ავლენს თავის განწყობას, რათა იმუშაოს ქართველი ხალხის ინტერესების სასარგებლოდ. ჩემთვის აშკარაა, რომ ბათუმის მერი განწყობილია, რათა ითანამშრომლოს ყველა სტრუქტურასთან როგორც რეგიონში, ასევე თბილისში ცენტრალური სტრუქტურების წარმომადგენლებთან, აგრეთვე, იყოს ხელმისაწვდომი ის რესურსები, რაც ხელს შეუწყობდა ბათუმს მომავალი წინსვლისთვის და განვითარებისთვის“, – აღნიშნა რიჩარდ ნორლანდმა.

მისივე თქმით, საინვესტიციო კლიმატის ხელშეწყობასთან ერთად მნიშვნელოვანია, ტოლერანტობის გამოვლენა უმცირესობების მიმართ:

– საინვესტიციო კლიმატის ხელშეწყობა ხდება არა მხოლოდ ეკონომიკური რეფორმებით და ინფრასტრუქტურის განვითარებით, რაც ძალზე მნიშვნელოვანია, არამედ, ასევე, ტოლერანტობის გამოვლენით, რასობრივი თუ ეთნიკური განსხვავებების პატივისცემით. საქართველოს აქვს რეპუტაცია, როგორც ტოლერანტი ქვეყნისა. ბათუმი მოიაზრება ერთ-ერთ ფლაგმანად ტოლერანტული განწყობისა. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ეს განწყობა გაგრძელდება, – აღნიშნა რიჩარდ ნორლანდმა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

## ცესკო-მ არჩევნების საბოლოო შედეგები გამოაქვეყნა

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიმ გუშინ 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგები შეაჯამა.

შემაჯამებელი ოქმის მიხედვით, ამომრჩეველთა რაოდენობა 3 613 851 შეადგენდა, ხოლო არჩევნებში მონაწილეობა 2 215 661 ამომრჩეველმა მიიღო.

კოალიცია „ქართულ ოცნებას" ხმა ელექტორატის 54.97%-მა მისცა, ხოლო „ნაციონალურ მოძრაობას" – 40.34%-მა.

კენჭისყრის შედეგად, პარლამენტში მანდატები შემდეგნაირად გადანაწილდა – 85 მანდატი მოიპოვა ბლოკმა „ბიძინა ივანიშვილი ქართული ოცნება", ხოლო 65 მანდატი – „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ".

აქედან, პროპორციული წესით ივანიშვილის ბლოკს 44 მანდატი ერგო, ხოლო „ნაცმოძრაობამ" – 33 მანდატი მიიღო. „ქართულ ოცნებას" პარლამენტში 41 მაჟორიტარი ეყოლება, ხოლო „ნაციონალურ მოძრაობას" – 32 მაჟორიტარი.

ამასთან, ცესკო-მ ბათილად სცნო 16 საარჩევნო უბნის შედეგები

ნიუსპრესი

## „თბილისის მიკროავტობუსი" მიკროავტობუსების მიმდინარე ტექნიკურ მომსახურებას აიაფებს

კომპანია „თბილისის მიკროავტობუსი" გასულ კვირას ტრანსპორტის პროფკავშირების განცხადებას გამოეხმაურა და მიკროავტობუსების ტექნიკური მომსახურების გაიაფების შესახებ განაცხადა.

განცხადების თანახმად, მძღოლების ის ნაწილი, ვისთვისაც „ფორდის" ცენტრის ფასები და მომსახურება მისაღები იყო, აღნიშნულ სერვის-ცენტრში დარჩება და სერვისს „ფორდის" საგარანტიო მომსახურების ქვეშ მიიღებს, ხოლო მძღოლებს, რომლებიც მიკროავტობუსების საგარანტიო მომსახურებიდან მოხსნას გადაწყვეტენ, საშუალება ექნებათ მიკროავტობუსების მიმდინარე სერვისი და შეკეთება „თბილისის მიკროავრტობუსის" მიერ მითითებულ სხვა, გაცილებით უფრო დაბალფასიან სერვის ცენტრში აწარმოონ.

კომპანია აცხადებს, რომ მოლაპარაკებების შედეგად ფასებთან დაკავშირებით საბოლოო შეთანხმება შედგა და აღნიშნულის შესახებ მძღოლებისთვის უკვე ცნობილია. „თბილისის მიკროავტობუსის" განმარტებით, მომსახურებაზე გაიაფების საშუალო პროცენტული მაჩვენებელი 50%-დე შეადგენს.

ნიუსპრესი

## „თელასის" ყოფილმა თანამშრომლებმა „ქართულ ოცნებას" განცხადებით მიმართეს

კოალიცია „ქართული ოცნების" ცენტრალურ ოფისთან კომპანია „თელასის" ყოფილი თანამშრომლების აქცია მიმდინარეობს, რომლებიც ახალ ხელისუფლებას მათი პრობლემის მოგვარებას სთხოვენ.

აქციის მონაწილეებმა კოალიციის ოფისში საინიციატივო ჯგუფის განცხადება შეიტანეს. მათ განცხადებაში თავისი პრობლემები ჩამოაყალიბეს და ახალ ხელისუფლებას დახმარება სთხოვეს.

როგორც „ნიუსპრესს" „თელასის" სამგორის ბიზნეს-ცენტრის ყოფილმა თანამშრომელმა ნინო ტივაძემ განუცხადა, „ქართული ოცნება" მათ დარღვეული უფლებების აღდგენის გარანტად მიაჩნიათ.

მისი თქმით, დათხოვნილი თანამშრომლები პროფესიონალიზმის შეფასებას და სამსახურში აღდგენას ითხოვენ.

„ქართული ოცნების ოფისში განცხადების შეტანის შემდეგ, ენერგეტიკის სამინისტროს, სახალხო დამცველის ოფისს, სასამართლოს და პროკურატურას მივმართავთ – განაცხადა ტივაძემ.

მისი თქმით, ისინი ენერგეტიკის სამინისტროს მინისტრთა კაბინეტის დამტკიცებისთანავე მიმართავენ და იმედოვნებენ, რომ ახალი მინისტრი კახი კალაძე მათ პრობლემებს საქმიანობის დაწყებისთანავე გაეცნობა.

„თელასის" ყოფილმა თანამშრომლებმა, კომპანიის ოფისის წინ, საპროტესტო აქცია 17 ოქტომბერს გამართეს, სადაც კომპანიის ხელმძღვანელობის გადადგომა და სამსახურებში აღდგენა მოითხოვეს. მათი განცხადებით, „თელასის" 300-მდე თანამშრომელს კომპანიის ხელმძღვანელობამ სასახურიდან გათავისუფლების შესახებ განცხადებები იძულებით დააწერინა.

ნიუსპრესი

# ანზორ ქოქოლაძე სააკაშვილის ჯიბის ბიზნესმენი არ გახდა

### „ელიტელექტრონიკსს" 15 მლნ-ს აწერდნენ

გულიკო ბალაძე

**„უფლებადამცველთა გაერთიანება" სამართლიანობის აღდგენასა და, წართმეული კომპანიების მესაკუთრეებისთვის დასაბრუნებლად, საქმეების ხელახალ გამოძიებას მოითხოვს.**

ამჯერად „უფლებადამცველთა გაერთიანება მოითხოვს, პროკურატურამ გამოიძიოს ბიზნესმენ ანზორ ქოქოლაძისთვის „ელიტელექტრონიქსის" წართმევის საქმე, რათა შემდეგ ის დაუბრუნდეს მის პირვანდელ მფლობელს.

„უფლებადამცველთა გაერთიანების" თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე აცხადებს, რომ ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, მიდის წართმეული საკუთრების თავისი მესაკუთრეებისთვის დაბრუნების პროცესი.



– კოალიცია „ქართული ოცნების" ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ ვინც საკუთრება წაართვა პიროვნებებს, ესენი იყვნენ ბიზნესმენები თუ ხელისუფლებასთან დაახლოებული პირები, სასამართლო საქმეებით რომ არ გადაიტვირთოს, გთხოვთ ყოფილ მესაკუთრეებს თავიანთი საკუთრება დაუბრუნოთო. ამ განცხადებას საკმაოდ ბევრი ხალხი გამოეხმაურა – ტელეკომპანია „იმედი" უკვე დაუბრუნდა თავის მესაკუთრეს, ტელეკომპანია „გურია" ჩხარტიშვილმა დაიბრუნა. მიდის პროცესები, რომ წართმეული კომპანიები ყოფილ მესაკუთრეებს დაუბრუნდეთ, – განაცხადა ნიკა მჟავანაძემ.

ამჯერად, ნიკა მჟავანაძემ ჟურნალისტებისთვის გამართულ პრესკონფერენციაზე ანზორ ქოქოლაძისთვის „ელიტელექტრონიქსის" წართმევასა და ამ საქმეში დანაშაულებრივ კვალზე ისაუბრა.

ნიკა მჟავანაძის განცხადებით, ვინაიდან ანზორ ქოქოლაძე არ გახდა სააკაშვილის ჯიბის ბიზნესმენი, ამიტომ იგი რეჟიმმა დასაჯა და ჩამოართვა „ელიტელექტრონიქსი".

– ანზორ ქოქოლაძე არის პიროვნება, რომელმაც შექმნა „ელიტელექტრონიქსი". მან ნამდვილად დიდი შრომა გასწია ამ კომპანიის შექმნაში. უამრავი ადამიანი დაასაქმა, დიდი ფული დახარჯა ინფრასტრუქტურულ ღონისძიებაში სამაჩაბლოსა და სხვადასხვა კუთხეებში. ვინაიდან ეს პიროვნება არ გახდა სააკაშვილის ჯიბის ბიზნესმენი, სამაგიერო ხელისუფლებამ იმით გადაუხადა, რომ „ელიტელექტრონიქსი" წაართვა.

უფრო კონკრეტული მიზეზი „ელიტელექტრონიქსის" წართმევისა", ნიკა მჟავანაძის თქმით, ქოქოლაძის მიერ სააკაშვილის პროექტების დაუფინანსებლობაა..

– იმის გამო, რომ ქოქოლაძემ არ დააფინანსა ნაციონალური მოძრაობის პროექტები, რომელიც პირადად მიხეილ სააკაშვილის ინტერესებს ემსახურებოდა, ხელისუფლებამ – კეზერაშვილი-მერაბიშვილი-ადეიშვილის ტრიომ – დაიწყო ამ პიროვნების დევნა კერძო კომპანიების მხარდაჭერით, – განაცხადა პრესკონფერენციაზე ნიკა მჟავანაძემ.

როგორც ნიკა მჟავანაძემ ახსნა, პირველი დარტყმა ანზორ ქოქოლაძე მიაყენეს 2007 წელს, როდესაც მის კომპანიაში ფინანსური კომპანია შევიდა აბსურდული მოტივით. შემოწმების შემდეგ ფინანსურმა პოლიციამ ანზორ ქოქოლაძე 14 მილიონი ლარით დააჯარიმა.

– როდესაც ამ კომპანიაში შედიოდნენ, ფინანსური პოლიციის წარმომადგენლებმა ქოქოლაძეს უთხრეს, რა მოხდა, კაცო, 15 მილიონს დაგაწერთ და გადაიხდიო. შემოწმება არ ჰქონდათ ჩატარებული და ამას წინასწარ ეუბნებოდნენ. წინასწარ იცოდნენ, რამდენი უნდა დაეწერათ, რა რაოდენობის ჯარიმა უნდა გამოეწერათ ქოქოლაძისთვის. შემდეგ ანზორ ქოქოლაძემ ფინანსური პოლიციის გადაწყვეტილება გაასაჩივრა და ჯარიმის რაოდენობა 7 მილიონზე ჩამოუყვანეს, დანარჩენი კი მოუხსნეს. დავამ სასამართლოში გადაინაცვლა და ბიუჯეტში გადასახდელ თანხაზე (7 მილიონზე) „ელიტელექტრონიქსმა" საგარანტიო წერილი აიღო „თი-ბი-სი" ბანკისგან. მოგვიანებით „თი-ბი-სი ბანკმა" საგარანტიო ფურცლის სანაცვლოდ, „ელიტელექტრონიქსის" აქციების 55%-ის გირავნობა მოითხოვა. მოგვიანებით „თი-ბი-სი" ბანკმა სასამართლოს მიმართა, „ელისტელექტრონიქსის" მართვის უფლება მოითხოვა, რაც მიიღო კიდეც და ანზორ ქოქოლაძე მმართველობიდან ჩამოაშორა.

„უფლებადამცველთა გაერთიანების" თავმჯდომარე აცხადებს, რომ „თი-ბი-სი" ბანკის მეშვეობით ანზორ ქოქოლაძეზე ზეწოლა ხორციელდებოდა, ანზორ ქოქოლაძე დააპატიმრეს და კომპანია ამ გზით გადავიდა „თი-ბი-სი" ბანკის მფლობელთა განკარგულებაში.

– მოვლენები ისე განვითარდა, რომ „თი-ბი-სი" ბანკის მეშვეობით გაგრძელდა ზეწოლა ანზორ ქოქოლაძეზე. საბოლოოდ იქამდე მიდის პროცესები, რომ ანზორ ქოქოლაძეს აკავებენ არასწორი ბრალდებით, მისი კომპანია გადადის „თი-ბი-სი" ბანკის მფლობელობაში. სახეზეა ის სურათი, როდესაც ჩვენ ვილებთ სიტუაციას, „თი-ბი-სი" ბანკის სასარგებლოდ დაგირავებული აქციების 55% რეალიზაცია მოხდა და ბანკმა 116 ათას ლარად შეისყიდა „ელიტელექტრონიქსიც" და „ელიტელექტრონიქსის" აქციებიც, როდესაც ანზორ ქოქოლაძე სამმაგ თანხას სთავაზობდა „თი-ბი-სი" ბანკს, მაგრამ თი-ბი-სი ბანკმა აქციები არ დაუბრუნა. ეს იყო შეთანხმებული გეგმა ანზორ ქოქოლაძის წინააღმდეგ, რათა მისთვის „ელიტელექტრონიქსი" წაერთმიათ, – ასკვნის ნიკა მჟავანაძე..

– ბატონო ნიკა, „თი-ბი-სი" ბანკი ხელისუფლებასთან შეკრული იყო ქოქოლაძის წინააღმდეგ?

– არ მინდა უდანაშაულობის პრეზუმფცია დავარღვიო, მაგრამ დიდი ეჭვები არსებობს, რომ სიტუაცია შეიძლება ასეთი ყოფილიყო. ამიტომ ჩვენ ვითხოვთ, ჯერ ჩატარდეს გამოძიება იმიტომ, რომ ანზორ ქოქოლაძისთვის ამ კომპანიის წართმევაში იკვეთება სისხლის სამართლის დანაშაულობები.

„უფლებადამცველთა ორგანიზაცია" მოითხოვს, დადგინდეს, ანზორ ქოქოლაძისთვის „ელიტელექტრონიქსის" წართმევაში ვის რა წვლილი მიუძღვის.

– მოვითხოვთ, დადგენილ იქნეს, რა წვლილი მიუძღვის „თი-ბი-სი ბანკს" ამ ქმედებებში – ანზორ ქოქოლაძისთვის „ელიტელექტრონიქსის" წართმევაში. რა წვლილი მიუძღვით ამ საქმეში კეზერაშვილ-ადეიშვილს და რა წვლილი მიუძღვის ხელისუფლებას. ფაქტია, რომ ეს ადამიანი უკანონოდ იქნა ჩამოცილებული ამ კომპანიას.

– ბატონო ნიკა, ალბათ, თქვენთვის ცნობილია, „თი-ბი-სი" ბანკმა ამ საქმესთან დაკავშირებით განცხადება რომ გააკეთა.

– დიახ. „თი-ბი-სი" ბანკი აცხადებს, რომ, რეალურად, ამ ადამიანმა აიღო სესხი, ვერ უზრუნველყო ამ სესხის დაფარვა, რაც გახდა მიზეზი ამ კომპანიის „თი-ბი-სი" ბანკის მფლობელობაში გადასვლისა. მაგრამ საქმის არსი ცოტა სხვაგვარია.

ნიკა მჟავანაძე აღნიშნავს, რომ „სააკაშვილის პერიოდში აღნიშნული კომპანიის დასაბრუნებლად ბრძოლა ციხეშიც არ შეუწყვეტია. ეს ის პიროვნებაა, რომელიც არ გატყდა. ანზორ ქოქოლაძე სააკაშვილის რეჟიმის თამაშს რომ აჰყოლოდა, ეს კომპანიაც ექნებოდა და ვერავინ ვერაფერსაც ვერ წაართმევდა, მაგრამ ის არის პრინციპული ადამიანი. ამიტომ, გარკვეულწილად, სიმპათიასაც იმსახურებს".

– ჩვენ დავდექით სიმართლის სადარაჯოზე, ვცდილობთ, ეს კომპანია დაუბრუნდეს ანზორ ქოქოლაძეს, ვინაიდან ის არ გახდა სააკაშვილის ჯიბის ბიზნესმენი. ზოგიერთი კომპანიის მფობელები დღეს რომ აცხადებენ, ნაციონალებს არ ვაფინანსებდითო, სააკაშვილის სატელევიზიო წვეულებებზე მოსახვედრად მილიონებს ხომ იხდიდნენ. ანზორ ქოქოლაძე მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოს ეხმარებოდა, სამაჩაბლოში ინფრასტრუქტურის მოწყობაში დიდი თანხა გადაიხადა, რომელიც დაიკარგა 2008 წლის ომის შემდეგ. რა თქმა უნდა, პრობლემები შეექმნა, მაგრამ დავალიანებებს ფარავდა.

ნიკა მჟავანაძის შეფასებით, ანზორ ქოქოლაძე არის ერთ-ერთი იმ ბიზნესთაგანი, რომელმაც არ დააფინანსა სააკაშილის დანაშაულებრივი რეჟიმი. სწორედ ამის გამო დაისაჯა ის პიროვნება.

– ანზორ ქოქოლაძე პატრიარქის ძალისხმევით სააკაშვილმა გამოუშვა ციხიდან. მომავალმა ხელისუფლებამ უნდა გამოიძიოს ეს საქმე და „ელიტელექტრონიქსი" ყოფილ მესაკუთრეს უნდა დაუბრუნდეს. ის სისხლის სამართლის დამნაშავეები, რომლებმაც მოახდინეს ამ პიროვნების რეპრესია, მისი კომპანიის წართმევა, საკადრისად უნდა დაისაჯონ, – ასეთია „უფლებადამცველთა გაერთიანების" მესვეურთსა მოთხოვნა.

## პარლამენტის პირველ სხდომას მიხეილ სააკაშვილი და ბიძინა ივანიშვილი დაესწრებიან

**ახალი პარლამენტის პირველი სხდომა საორგანიზაციო ხასიათის იქნება, რომელზეც უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს თანამდებობის პირები აირჩევიან. ამის შესახებ „ნიუსპრესს" პარლამენტის პირველი ვიცე-სპიკერობის კანდიდატმა, „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" ლიდერმა მანანა კობახიძემ განუცხადა.**

მისი თქმით, პირველ სხდომას ქვეყნის პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და




მიწვეული სტუმრის სტატუსით, პრემიერმინისტრობის კანდიდატი ბიძინა ივანიშვილი დაესწრებიან.

კობახიძის განცხადებით, კონსტიტუციის თანახმად, პირველ სხდომას პარლამენტის უხუცესი წევრი გახსნის, რომელიც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენელი 85 წლის მოქანდაკე გიორგი ოჩიაურია.

სხდომის გახსნის შემდეგ, ცესკო-ს თავმჯდომარე არჩევნების შედეგებს გამოაცხადებს და სამანდატო და ხმის დამთვლელ კომისიებს აირჩევს.

როგორც კობახიძემ აღნიშნა, სამანდატო კომისიამ უნდა სცნოს დეპუტატთა უფლებამოსილება, რის შემდეგაც იწყება მთავარი – პარლამენტის თავმჯდომარის არჩევის პროცედურა.

არჩევის შემდეგ, პარლამენტის თავმჯდომარე უფლებამოსილია სხდომას წარუძღვეს.

კობახიძის თქმით, სხდომის ერთ-ერთი მთავარი საკითხია პარლამენტის ვიცე-სპიკერებისა და 15 კომიტეტის თავმჯდომარეების არჩევა. საპარლამენტო უმცირესობას აქვს უფლება ვიცე-სპიკერობის საკუთარი კანდიდატი დაასახელოს.

„პრეზიდენტი მობრძანდება სხდომაზე. მან დანიშნა სხდომა და ის პარლამენტისადმი თავისი მიმართვით ფაქტიურად პირველ სხდომას გახსნის. კონსტიტუციით მას ამის უფლება აქვს. შემდეგ შეუძლია დატოვოს პარლამენტი" – განაცხადა კობახიძემ.

რაც შეეხება მინისტრთა კაბინეტს, კობახიძე იმედოვნებს, რომ მათთვის ნდობის გამოცხადება მომდევნო კვირას მოხერხდება.

„პარლამენტის ფრაქციებისა და კომიტეტების მიერ მინისტრთა კანდიდატებისა და მთავრობის პროგრამის განსახილველად 2-3 დღე სრულიად საკმარისი იქნება" – მიიჩნევს კობახიძე.

მერვე მოწვევის პარლამენტის პირველი სხდომა კვირას, 21 ოქტომბერს, ქუთაისში 13:00 საათზე გაიხსნება. სტუმრის სტატუსით სხდომაზე მიწვეული არიან სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე, ასევე, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები

ნიუსპრესი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მამუკა ლომაშვილმა ცოლი მოიყვანა

ეკა ირემაშვილი

პაროდისტმა მამუკა ლომაშვილმა ადამიანის ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო – ცოლი მოიყვანა. მისი რჩეული პროფესიით ექიმი ნინო რევაზიშვილია. როგორც მეუღლის ამპლუაში ახლად გამომცხვარი პაროდისტი აღნიშნავს, მისი ცხოვრების ერთწლიანი დეპრესიული ეტაპი დასრულდა და ახლა ყველაზე მშვენიერი პერიოდი უდგას.

***– მამუკა, პირველ რიგში გაბედნიერებას გილოცავთ!***

– ულრმესი მადლობა.

***– შეგნებულად მოიყვანეთ ცოლი დაღვინებულ ასაკში?***

– მე ბავშვობაშიც დაღვინებული ვიყავი. 19-20 წლის ასაკში უკვე მეუბნებოდნენ, 80 წლის ხარო. ყველაფერს ალბათ თავისი დრო აქვს და იმისიც მჯეროდა, რომ თავის დროზე ყველაფერი იქნებოდა. ყოველთვის სრული სერიოზულობით ვეკიდებოდი ოჯახის შექმნის საკითხს.

***– ცოტა ხომ არ დაგაგვიანდათ?***

– ძალიან ბევრ ჩემს მეგობარს ეგონა, რომ ნუნია ვიყავი და ბერბიჭად დავრჩებოდი, მაგრამ ცდებოდნენ. რაც ჩემს ცხოვრებაში მოხდა, ერთი ნახვით შეყვარება, სრულიად საპირისპიროს მეტყველებს. ადამიანი უნდა მიხვდეს, ვისთან ერთად უნდა შექმნას ოჯახი. ეტყობა აქამდე არ ყოფილა ჩემს ცხოვრებაში ისეთი ადამიანი, ვისაც სერიოზულად შევხედავდი და მასზე ამ კუთხით გავიფიქრებდი მაინც. ცხოვრება კანონზომიერია და თვითონ გიჩვენებს ყველაფერს. სხვანაირად როგორ შეიძლება ერთხელ დაინახო ადამიანი და მაშინვე მიხვდე, რომ ის შენია და მთელი ცხოვრება მასთან უნდა გაატარო. შემიძლია თამამად ვთქვა, რომ ერთი ნახვით შეყვარება ნამდვილად არსებობს. სულ იმას ვამბობდი, როგორ შეიძლება, ადამიანი მოგეწონოს და შეგიყვარდეს ერთი ნახვით-მეთქი, მაგრამ თურმე შესაძლებელი ყოფილა და თანაც სულაც არ აღმოჩნდა რთული. მე და ნინო სულ რაღაც 10 დღე ვურთიერთობდით, ჩვენ საერთო მეგობარი გვყავს და ამის მერე ნინო წავიდა იტალიაში. ამ 10 დღეში უკვე გაირკვა ყველაფერი, მეც გონება დამჯდარი მქონდა, არც ნინოა პატარა გოგო, ერთმანეთს ძალიან კარგად გავუგეთ, ორივე მზად ვიყავით ამისთვის, ურთიერთობა გვქონდა ტელეფონით და სკაიპით. აპრილში გავიცანით ერთმანეთი, 14 აპრილს ნინო იტალიაში წავიდა და ჩამოვიდა აგვისტოში, როგორც კი ჩამოვიდა, გადაწყვეტილი მქონდა, რომ დავოჯახებულიყავი, მასაც ალბათ ქვეცნობიერად ჰქონდა გადაწყვეტილი ჩემთან ერთად ცხოვრება და ასე დავაგვირგვინეთ ურთიერთობა. ვიცი წყვილები, ვისთვისაც სამი წელიც კი ცოტაა ურთიერთობისთვის, ჩვენთვის კი ის 10 დღეც საკმარისი აღმოჩნდა და არანაირად არ გამჭირვებია გადაწყვეტილების მიღება. რომ გითხრათ, ძალიან ბევრი ვიფიქრე-მეთქი, ნამდვილად მოგატყუებთ. ეჭვი არ მეპარებოდა ნინოში და ვხვდებოდი, რომ ნინო იყო ჩემი. უფლის წინაშე უკვე ცოლ-ქმარი ვართ, ჩემი დის ჩამოსვლას ველოდებოდით ამერიკიდან და მხოლოდ ამის შემდეგ დავიწერეთ ჯვარი, ახლა მხოლოდ ხელი დაგვრჩა მოსაწერი.

***– უარი რომ ეთქვა, ამისთვის მზად იყავით?***

– არ იტყოდა. ყველაზე მაგარი, იცით, რა არის? იმდენად ვუგებდით და ახლაც ვუგებთ ერთმანეთს, რომ არასოდეს მიკითხავს მისთვის, ცოლად გამომყვები-მეთქი? იმდენად მომზადებულები ვიყავით და ისე კარგად გვესმოდა ერთმანეთის, ზუსტად ვიცოდი, ნინოს ჩემთან ერთად ცხოვრება უნდოდა.

***– რატომ ხართ ასე დარწმუნებული?***

– როცა ადამიანი მილანიდან გლდანში ჩამოდის, იქ ყველაფერი ნათელია. თუმცა ნინო მეუბნება, რომანტიკოსი არ ხარო, მაგრამ მეტი რომანტიკა რაღა უნდა, მილანიდან გლდანში წამოვიყვანე.

***– მილანის შემდეგ თქვენს მეუღლეს გლდანში ცხოვრება არ გაუჭირდა?***

– ნამდვილად არ უჭირს, ერთი-ორჯერ დაიბნა, მაგრამ ახლა უკვე ყოჩაღად დადის. ჩვენთვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, სად იცხოვრებ, მთავარია იცხოვრო ბედნიერად საყვარელ ადამიანთან ერთად. უბრალოდ, მინდა ეს რაიონი უფრო მეტად განვითარდეს, ხალისიანი გახდეს და დაიტვირთოს კულტურული ცხოვრებით. დედაქალაქის პერიფერიებს კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოთ. სულ ამაზე ვფიქრობ და მინდა მაქსიმალურად ბევრი გავაკეთო გლდანისთვის.

***– ისევ თქვენი ოჯახის შექმნის თემას რომ დავუბრუნდეთ, პოპულარულ ადამიანებს უჭირთ ხოლმე ასეთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება, რადგან უმეტესად გოგონები მათ სწორედ იმის გამო ეპრანჭებიან, რომ ის ბიჭი პოპულარულია. თქვენც გქონიათ ასეთი შემთხვევები?***

– რადგან არ გამიჭირდა გადაწყვეტილების მიღება, ე.ი. პოპულარული არ ვარ. რა არის პოპულარობა? კარგია, გცნობენ, ბევრ ადამიანთან გაქვს შეხების წერტილი და გიადვილდება ცხოვრება, თუმცა, როცა საქმე ოჯახს ეხება, შენნაირი ადამიანი უნდა იპოვნო და საერთოდ არ აქვს მნიშვნელობა, პოპულარული ხარ თუ არა. როგორიც ხარ, როგორი სულიერება, მიზნები და მსოფლმხედველობაც გაქვს, მთელი ცხოვრება ეძებ შენნაირს, თუმცა დაგეთანხმები, როცა პოპულარული ხარ, უფრო მეტი გოგონა ცდილობს, მოგაწონოს თავი, მაგრამ ერთია, შენ თუ მოგეწონება.

***– ნინომ არ იცოდა, პოპულარული რომ იყავით?***



– არა.

***– არც „იუმორინაზე“ არ ყოფილა?***

– არ ყოფილა, იმიტომ, რომ ზუსტად იმ დროს წავიდა საქართველოდან, როცა ჩვენ იუმორინას ვაკეთებდით. ნამდვილად არ იცოდა, რომ მამუკა ლომაშვილი ვიყავი და „იუმორინაში“ ვმონაწილეობდი. საერთოდ სნობობა და სნობები არ მიყვარს, თვითონ არ ვარ ასეთი. ვმეგობრობ იმასთან, ვისთანაც მემეგობრება, ვძმაკაცობ იმასთან, ვისთანაც მეძმაკაცება და არანაირად არ ვძმაკაცობ სოციალური სტატუსით და ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით.

***– პოლიტიკური ნიშნით?***

– რას ნიშნავს პოლიტიკური ნიშნით? პირველ რიგში, ჩემთვის პიროვნება ადამიანი უნდა იყოს. ჩვენთან ბოლო პერიოდში აბსოლუტურად აბსურდული პოლიტიკური სიტუაცია იყო, ვერ გაიგებდი, ვინ ვინ იყო და ვინ რა იყო სინამდვილეში. მე კი კარგად ვიცი, ვინ ვინ არის, ეს განსაკუთრებით მაშინ გავიგე, როცა გლდანის რაიონში მაჟორიტარობის კანდიდატი ვიყავი. ადამიანთან ვმეგობრობ ადამიანურობის ნიშნით და არა პოლიტიკური ნიშნით. მაგრამ ამის მიუხედავად ყოველთვის ვიჩაგრებოდი.

***– რას გულისხმობთ?***

– ჩემი პოზიცია არის ის, რაც არის ხალხის პოზიცია, რადგან მე ვარ ხალხი. ვცდილობდი, მეთქვა ის, რასაც ფიქრობს ხალხი, მაგრამ ეს ძალიან ბევრს არ აინტერესებდა, განსაკუთრებით ხელისუფლებაში. 2007 წლის 2 ნოემბერი ჩემს კარიერაში და ჩემს ცხოვრებაში საბედისწერო აღმოჩნდა.

***– ამის მერე დაიჩაგრეთ?***

– დავიჩაგრე, რა თქმა უნდა, ბრჭყალებში. ნამდვილად არ ვარ დაჩაგრული, რადგან ვარ თავისუფალი ადამიანი, ვაკეთებ იმას, რაც მინდა, ყოველთვის დავდივარ თავაწეული, სულ არ მაინტერესებს, ვინ რას იტყვის ჩემზე. არ მაინტერესებს იმიტომ, რომ სათქმელი არაფერი აქვთ, ყოველთვის ვიქცეოდი ისე, როგორც იყო საჭირო, როგორც სჭირდებოდა ჩემს ქვეყანას და ჩემს ხალხს. მართალი ვარ ჩემს თავთან, ჩემს ქვეყანასთან, ჩემს ხალხთან და რაც მთავარია, ღმერთთან. არ მიყვარს ჩემს თავზე ლაპარაკი და წუწუნი, რადგან ბევრი ჩემზე ათასჯერ უარეს დღეშია, მაგრამ ნოემბრის შემდეგ ყველა მეუბნებოდა, აბა რა გეგონაო. რადგან არ ვილანძღები, რადგან არ „ვიწყევლები“, აფიშირებას არ ვაკეთებ და არავის ვაწუხებ, ყველას ჰგონია, რომ დალხენილი მაქვს ცხოვრება. საერთოდ წინააღმდეგი ვარ პოლიტიკაშიც კი ადამიანებმა ერთმანეთს პიროვნული შეურაცხყოფა მიაყენონ. მთავარია საქმე ვაკეთოთ და ფაქტებით ვილაპარაკოთ. ჩემთვის არ აქვს მნიშვნელობა ვინ იქნება ხელისუფლებაში, ყოველთვის მაინც იმას გავაკეთებ, რასაც საჭიროდ ჩავთვლი. ისეთ პროექტებზე მაქვს უარი ნათქვამი, რომელსაც შინაგანად ვერ გავაკეთებდი ვერანაირი საფასურის სანაცვლოდ. ამიტომაც ბოლო ერთი წლის განმავლობაში მქონდა სრული დეპრესიული პერიოდი, იმიტომ, რომ ყველგან ვიბლოკებოდი. იყო შემთხვევები, სადაც დამტკიცებულიც ვიყავი, მაგრამ ჩემი კანდიდატურა ყოველთვის მიუღებელი იყო.

***– ე.ი. ხელოვანები იბლოკებოდით პოლიტიკური ნიშნით?***

– როცა ხალხს უჭირს, ხელოვნება უნდა იდგეს ხალხის გვერდით და ამის გამო არავინ უნდა იბლოკებოდეს. დღევანდელ დღემდე რასაც მივაღწიე, არავინ დამხმარებია, ყველაფერს ჩემით მივაღწიე. ჩემი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ამბიციაც მაქვს, რაც ნორმალური მგონია. მაგრამ იმის გამო, რომ კარგი სამსახური და ხელფასი მქონდეს და მაგარ ადგილას მოვჯდე, ბოდიში და ვერავის მედროშე ვერ ვიქნები. თავაწეულს მივლია, დავდივარ და ვივლი კიდეც, ეს არის ჩემი ღირსება. ვერავინ იტყვის, რომ მამუკა ლომაშვილს რაღაც უღირსი გაუკეთებია.

***– ვიცი, რომ თქვენთვის რთულ პერიოდში სტუდიაც დაგიხურეს.***

– ეს სტუდია ჩემი აშენებულია. 6-7 წლის განმავლობაში ჩემი ხელებით ვაკეთებდი. ეს იყო ჩემთვის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი დარტყმა და არა მარტო ჩემთვის, არამედ ამ სტუდიის აღსაზრდელებისთვისაც, რომლებიც შოკში იყვნენ. კი გავხსენით ისევ ეს სტუდია, მაგრამ სამწუხაროდ, ისე ვერ გაგრძელდა, როგორც საჭირო იყო.

***– რა იყო ამ სტუდიის დახურვის მიზეზი?***

– ყველაფერი პოლიტიკურს მიაწერეს. ყველაზე მეტად იმაზე მწყდებოდა გული, რომ თავიდანვე ჩათრეული ვიყავი, რადგან მიშა სააკაშვილს ვასახიერებდი. ის ნამდვილად ჩემი გმირია, რადგან როგორც პერსონაჟი, მე შევქმენი და ამაში ნამდვილად დიდი ამაგი მაქვს. გული მწყდება, რომ ჩემი გმირის პრეზიდენტობის პერიოდში, რომლის შექმნაშიც ბევრი შრომა, წვალება, სიყვარული ჩავდე, მოხდა ასეთი მოვლენები ჩემს მიმართ.

***– ახლა რომ აღარ არის თქვენი „გმირი“ პოპულარული?***

– ამას არ აქვს არსებითი მნიშვნელობა. მთავარია ქუჩაში ბედნიერი სახეები და თვალები დავინახო და როგორც იტყვიან, ჯანდაბას ჩემი დიეტა. კარგად მესმის, რომ რაღაც იწყება და მთავრდება. რაც გავაკეთე პაროდიის ჟანრში და რაც მომცა მიხეილ სააკაშვილის პერსონაჟმა, ამაზე მეტის გაკეთება წარმოუდგენელია. პაროდიის თეატრის მსახიობობა არ არის ადვილი, იმ პერსონაჟის ფსიქოლოგია, რომელსაც ასახიერებ, უკვე იცი კარგად, უკვე იცი შენმა პერსონაჟმა რა შეიძლება თქვას, როგორ მოიქცევა, რა გადაწყვეტილება შეიძლება მიიღოს, კონკრეტულ სიტუაციაში რას მოიმოქმედებს და ა.შ.

***– იმასაც დაუშვებდით, რომ შეიძლება არაადეკვატური ყოფილიყო თქვენი გმირი?***

– რა თქმა უნდა. ისე კარგად შევისწავლე მიშა, ხუთი თითივით. სხვანაირად ვერ გარდაისახები, მისი ფსიქიკით უნდა იაზროვნო, მისმა გამოსვლებმა ბევრი ბიძგი მომცა. სიმართლე ვთქვათ, მიშას გმირმა შემქმნა, რადგან სულ სხვა რაკურსით მივდიოდი და ფაქტია, რომ მიშას „წყალობით“ ჩამოვყალიბდი როგორც პროფესიონალი. მერე კიდევ ერთი „მზაკვრობა“ მოვიფიქრე, მაინტერესებდა, როგორ მიიღებდა მაყურებელი იმ ჟესტიკულაციას, ელემენტებს თუ მოძრაობებს, რაც არ ჰქონდა ნაღდ მიშას და თვითონ ვამატებდი. სხვათა შორის, ძალიან დადებითად მიიღეს და უფრო მრავალფეროვანი, საინტერესო და შემოქმედებითი გახდა, თუმცაღა ბოლო დროს ძალიან გამიჭირდა მიშას პაროდიის გაკეთება.

***– რატომ?***

– იმიტომ, რომ სიტუაცია იყო ასეთი. განსაკუთრებით ნოემბრის მოვლენების შემდეგ მიჭირდა სცენაზე გასვლა. ამას მოჰყვა 26 მაისის მოვლენები და შინაგანად ველარ ვქაჩავდი, მაგრამ ისიც არ მავიწყდებოდა, რომ პირველ რიგში უნდა მემუშავა ჩემი ხალხისთვის და ეს ჩემი პასუხისმგებლობის საკითხი იყო. ყველაფრის მიუხედავად, ვლაპარაკობდი ყოველთვის სიმართლეს, რაც უნდოდა გაეგო ხალხს და რასაც აკეთებდა ჩვენი ბატონი პრეზიდენტი. მე შევინარჩუნე მისი გმირი ვარდების რევოლუციის პერიოდში და სულ ვცდილობდი, „იუმორინაზე“ მოსული მაყურებლისთვის მიშა დადებითად წარმედგინა, მათი კიდევ უფრო დაძაბვა აღარ მინდოდა. შინაგანად ძალიან დისკომფორტი მქონდა და აღარ შემეძლო არც მის ხმაზე ლაპარაკი და არც პაროდიის გაკეთება, მაგრამ ჩვენ ყოველთვის ვამბობდით სიმართლეს, თუმცა იუმორში და ვინც ყურადღებით მოგვისმენდა, ჩვენს გზავნილს აუცილებლად გაიგებდა. გვქონდა ასეთი ნომერი, როცა იყო ორი მიშა მომავალში და 2037 წელი იდგა. მომავლის მიშა ელაპარაკებოდა ახლანდელ მიშას, შენს აწმყოს მიხედე, თორემ შენი ფეხი არ იქნება მომავალშიო. ხშირად რომ ეყურებინათ და მოესმინათ ჩვენთვის, ეს შედეგი არ დადგებოდა. არჩევნებმა დაამტკიცა, როგორ აღარ უნდა და აღარ უყვარს ხალხს საქართველოს პრეზიდენტი, თუმცა ფაქტია, რომ იყო დრო, როცა ძალიან უყვარდათ მიშა სააკაშვილი, ახლა კი მისი სახელის ხსენებაც აღარ უნდათ. ეს ჩემთვის ძალიან სამწუხაროა, როგორც პრეზიდენტის პაროდისტისთვის.

***– ღირდა ეს დეპრესიული წელიწადი გაძლებად?***

– ნამდვილად ღირდა. ვნახოთ, რა იქნება, იმედები არის და ყველაფერს მომავალი გვიჩვენებს. არ მინდა ფარ-ხმალი დავყარო და დავნებდე. ამის დასტურია ჩვენი ყოველწლიური ბავშვთა და მოზარდთა ფესტივალი „მაჩაბელა“, რომელსაც 2008 წლიდან ვაკეთებ. ეს არის ქართული კულტურისა და ხელოვნების განვითარების ცენტრი „მაჩაბელა“, რომლის დირექტორიც მე გახლავართ. პირველად დავიწყეთ თბილისის მერიის ხელშეწყობით და ძალიან დიდი ეკლიანი გზა გამოვიარეთ, რომ ეს ფესტივალი დღემდე მოგვეტანა. ბევრმა არ იცის, ვინ არის მაჩაბელა და რა არის მაჩაბელა. ჩვენ გვინდა პოპულარიზაცია გავუკეთოთ ქართულ თეატრს, მაჩაბელას თეატრს, ბევრმა არ იცის, რომ ვანში არის აღმოჩენილი თეატრალური ნიღაბი, რომელიც დაწესებული გვაქვს პრიზად. ამ ფესტივალს აქვს თავისი ძალიან საინტერესო დატვირთვა – საქართველოს სხვადასხვა ქალაქის საბავშვო სტუდიების აღსაზრდელები ეცნობიან ერთმანეთის ხელოვნებას და ფესტივალის შემდეგაც აგრძელებენ მეგობრობას, ეს კი აუცილებელია არა მარტო მათი დამეგობრებისთვის, არამედ კულტურული განათლების მიღებისთვის, ამის გარეშე არაფერი გამოვა. ერთმანეთის მოსმენა უნდა ვიცოდეთ, თეატრში მოქცევა უნდა ვიცოდეთ, რისი დეფიციტიც დღეს არის. ჩვენ ამას ვასწავლით ჩვენს ბავშვებს და ფესტივალის საშუალებით უფრო მეტ მოზარდს ვაცნობთ, მაგრამ ვაკეთებთ „მაჩაბელას“ თვითდაფინანსებით მე და ჩემი მეგობრები. არ გვინდა, რომ წელი ჩავაგდოთ, პირიქით, გვსურს, რაც შეიძლება მეტი მოზარდი ჩავრთოთ ამ ღონისძიებაში. ჩვენ ყოველთვის გვეხმარებოდა ბიზნესმენი ნაზი ალასანია, მაგრამ პრობლემები შეუქმნეს და ბოლო დროს ველარ გვეხმარებოდა პოლიტიკური დაბლოკვის შემდეგ. რა გავაკეთოთ? თეატრალურ სტუდიას ხომ სჭირდება განვითარება? სად უნდა წავიყვანოთ ეს მოზარდები? არადა, მსგავს აქციებში მომავალი თაობების ჩართვა უმნიშვნელოვანესია. ჩვენს ფესტვიალზე ხდება ქართული კულტურის პოპულარიზაცია, ფესტივალს ვატარებთ როგორც სიღნაღში, ასევე მცხეთაში, ბავშვები ეცნობიან იქაურ ღირსშესანიშნაობებს და ის რამდენიმე დღე მათთვის დაუვიწყარია. ჩვენ ბევრი საინტერესო პროგრამა გვაქვს, რომელიც ვერ განვახორციელეთ რიგი მიზეზების გამო, ჩვენს კავშირში არის ძალიან ბევრი თვალსაჩინო, გამოჩენილი და ღვაწლმოსილი ადამიანი, რომელთაც აქვთ სურვილი, გააკეთონ პროექტები, მაგრამ სამწუხაროდ, ვერაფერს ვაკეთებდით, რადგან ყველაფერი იყო ტაბუდადებული, უკვე იცოდნენ, ვინ არ უნდა დაეფინანსებინათ და ვერ ვახდენდით ჩვენი იდეების რეალიზაციას. ამ ორგანიზაციას არ აქვს იმის პრობლემა, რომ მაინცდამაინც ჩვენ ვიყოთ ფლაგმანები, იყოს სხვა, მაგრამ როცა ვხედავთ, რომ ამ ყველაფრის დეფიციტია, ვიღაცამ რაღაცა ხომ უნდა გააკეთოს, ამიტომ ავიღეთ ჩვენს თავზე. არასოდეს დამავიწყდება ამ ფესტივალში მონაწილე ბავშვების ბედნიერი სახეები, წელს ამ მოზარდებს 24-დან 27 ოქტომბრის ჩათვლით შევკრიბავთ სიღნაღში. სამწუხაროდ, წელს ბევრი თეატრალური სტუდია ვერ მოდის სიღნაღში ფინანსური პრობლემების გამო. არ არის ადვილი დასავლეთ საქართველოდან ადგე და კახეთში ჩამოხვიდე.

***– რა სიახლეები გაქვთ წლევანდელ ფესტივალზე?***

– წელს გვაქვს სრულიად ახალი ნომინაცია, რომელიც ბავშვებს არ ეხებათ. ეს არის მაჩაბელას პრემია ქართულ ხელოვნებაში შეტანილი განსაკუთრებული ღვაწლისთვის. ჩვენ გვყავს ერთი ადამიანი, რომელსაც ნამდვილად ბევრი აქვს გაკეთებული ქართულ ხელოვნებაში თეატრსა და კინოში და ის დაჯილდოვდება მაჩაბელას პირველი პრემიით, თუმცა ნუ მკითხავთ ვინ არის, მაინც ვერ გეტყვით. იმედია, მომავალ წელს საშუალება გვექნება და დაგვიდგებიან მხარში ადამიანები, რომლებიც უფრო მეტ სტიმულს მისცემენ ხელოვან ადამიანებს. ბევრი ხელოვანი მაჩაბელას მეგობარია და ჩვენს კავშირშია. დღეს ისინი აღარც თეატრში დასჭირდათ, აღარც კინოში დასჭირდათ და სხედან სახლში. სამწუხაროდ, ასეთი ადამიანები ბევრნი არიან და მათ ასეთი მოპყრობა არანაირად არ დაუმსახურებიათ. ჩვენს ფესტივალში სტუდენტებზეც გვაქვს გათვლილი პროგრამა, მათ ჩართულობაზეც ვმუშაობთ, გვინდა გავაკეთოთ თეატრალური ფესტივალი სტუდენტებისთვის.

***– თქვენს ფესტივალზე ვინ ავლენს საუკეთესოებს?***

– ჟიური, რომლის თავმჯდომარე არის ყოველთვის ქალბატონი ნინო ხომასურიძე, წელს პირველად დავემატები ჟიურის წევრებს, აქამდე არასდროს ვყოფილვარ. ასევე საუკეთესოებს ნომინაციების მიხედვით გამოავლენენ დათო გელაძე იგივე ჩელე და ბატონი მურად ვაშაკიძე. ჩვენს ფესტივალს შემოეხმიანნენ სხვადასხვა ქვეყნის თეატრალური სტუდიები და სურდათ ჩვენს ფესტივალში მონაწილეობის მიღება, მაგრამ უფინანსობის გამო ვერ მივანიჭეთ ამ ფესტივალს საერთაშორისო სტატუსი. იყვნენ მსურველები აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან, უკრაინიდან და სხვათა შორის, საფრანგეთიდანაც, მაგრამ მათი ჩამოყვანა ვერ შევძელით. აქამდე არ არსებობდა კულტურული პოლიტიკა ჩვენს სახელმწიფოში და ახლა რა იქნება, მომავალი გვიჩვენებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ალბიონზე ლონდონური დერბია, აპენინებზე ლიდერთა ჯახი




## ინგლისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 20.10 | ტოტენჰემი-ჩელსი | 2.6 | 3.3 | 2.7 |
| 20.10 | ვესტ ბრომვიჩი-სიტი | 5.0 | 3.75 | 1.7 |
| 20.10 | ვესტ ჰემი-საუთჰემპტონი | 1.85 | 3.6 | 4.2 |
| 20.10 | ფულემი-ასტონ ვილა | 1.83 | 3.5 | 4.33 |
| 20.10 | ლივერპული-რედინგი | 1.36 | 4.5 | 9.0 |
| 20.10 | მანჩესტერი-სტოკი | 1.3 | 5.0 | 11.0 |
| 20.10 | სუონსი-უიგანი | 2.05 | 3.3 | 3.75 |
| 20.10 | ნორვიჩი-არსენალი | 5.5 | 4.2 | 1.57 |
| 21.10 | სანდერლენდი-ნიუკასლი | 2.6 | 3.1 | 2.87 |
| 21.10 | ქპრ-ევერტონი | 3.4 | 3.3 | 2.15 |

**ტოტენჰემი-ჩელსი**

ტოტენჰემი: *ტრავმა*-ჯეკ ლივერმური, იუნის ქაბული, სკორ პარკერი

ჩელსი: *ტრავმა*-ფრენკ ლამპარდი, დანიელ სტარიჯი

**ვესტ ბრომვიჩი-სიტი**

ვესტ ბრომვიჩი: *ტრავმა*-რომელუ ლუკაკუ, ბილი ჯოუნსი, ლიამ რიდველი, ჯერომ ტომასი

სიტი: *ტრავმა*-დავიდ სილვა, ჯეკ როდველი, ხავი გარსია, მაიკონი

**ვესტ ჰემი-საუთჰემპტონი**

ვესტ ჰემი: *ტრავმა*-ჯო ობრაიენი, რიკარდო ვაზ ტე, ალუ დიარა, ჯეკ კოლისონი

საუთჰემპტონი: *ტრავმა*-გასტონ რამირესი, ფრეიზერ რიჩარდსონი, ჯეკ კორკი

**ფულემი-ასტონ ვილა**

ფულემი: *ტრავმა*-ბრაიან რუისი, მლადენ პეტრიჩი, დიმიტარ ბერბატოვი, ქერიმ ფრეი, მაჰამადუ დიარა, სიმონ დევისი

ასტონ ვილა: *ტრავმა*-ჯო ბენეტი, შტეფან აირლანდი, გარი გარდნერი, სტილიან პეტროვი, რიჩარდ დანი

**ლივერპული-რედინგი**

ლივერპული: *ტრავმა*-ფაბიო ბორინი, ხოსე ენრიკე, მარტინ კელი, ლუკაშ ლეივა

რედინგი: *ტრავმა*-მიკელ ლეიგერსტვუდი, ადამ ფედერეკი

**მანჩესტერი-სტოკი**

მანჩესტერი: *ტრავმა*-ნიკ პაუელი, ანდერს ლინდეგაარდი, ნემანია ვიდიჩი, ეშლი იანგი, კრის სმოლინგი, ფილ ჯონსი

სტოკი: *ტრავმა*-გლენ ველანი, მაიკლ ოუენი

**სუონსი-უიგანი**

სუონსი: *ტრავმა*-კემი აუგუსტინი, კილი ბარტლი, ნეილ ტეილორი

უიგანი: *ტრავმა*-ანტოლინ ალკარაზი

**ნორვიჩი-არსენალი**

ნორვიჩი: *ტრავმა*-სტივენ ვაიტაკერი, ჰარი კეინი, სიმონ ლაპინი

არსენალი: *ტრავმა*-თეო უოლკოტი, კირონ გიბსი, აბუ დიაბი, ვოიცეხ სჩესნი, ლუკაშ ფაბიანსკი, ტომაშ როსიცკი, ბაქარი სანია, ჯეკ უილშირი

**სანდერლენდი-ნიუკასლი**

სანდერლენდი: *ტრავმა*-ჯეიმს მაკკლინი, ფილ ბიორდსლი, ვესლი ბრაუნი

ნიუკასლი: *ტრავმა*-შონ ფერგიუსონი, ჰარის ვუკჩიჩი, დან გოსლინგი, რობ ელიოტი, სტივენ ტეილორი, რაიან ტეილორი, ფაბრიციო კოლოჩინი, ტიმ კრული

**ქპრ-ევერტონი**

ქპრ: *ტრავმა*-კლინტ ჰილი, ფაბიო, ენდრიუ ჯონსონი

ევერტონი: *ტრავმა*-მარუან ფელაინი, ტონი ჰიბერტი, დარონ გიბსონი

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ჩელსი | 7 | 6 | 1 | 0 | 15:4 | 19 |
| 2.მანჩესტერი | 7 | 5 | 0 | 2 | 17:9 | 15 |
| 3.ევერტონი | 7 | 4 | 2 | 1 | 14:8 | 14 |
| 4.ტოტენჰემი | 7 | 4 | 2 | 1 | 13:8 | 14 |
| 5.ვესტ ბრომვიჩი | 7 | 4 | 2 | 1 | 11:7 | 14 |
| 6.სიტი | 7 | 4 | 3 | 0 | 15:8 | 13 |
| 7.არსენალი | 7 | 3 | 3 | 1 | 13:5 | 12 |
| 8.ვესტ ჰემი | 7 | 3 | 2 | 2 | 8:8 | 11 |
| 9.ფულემი | 7 | 3 | 1 | 3 | 15:11 | 10 |
| 10.ნიუკასლი | 7 | 2 | 3 | 2 | 8:11 | 9 |
| 11.სუონსი | 7 | 2 | 2 | 3 | 12:11 | 8 |
| 12.სტოკი | 7 | 1 | 5 | 1 | 6:5 | 8 |
| 13.სანდერლენდი | 6 | 1 | 4 | 1 | 5:7 | 7 |
| 14.ლივერპული | 7 | 1 | 3 | 3 | 9:12 | 6 |
| 15.უიგანი | 7 | 1 | 2 | 4 | 7:13 | 5 |
| 16.ასტონ ვილა | 7 | 1 | 2 | 4 | 6:12 | 5 |
| 17.საუთჰემპტონი | 7 | 1 | 1 | 5 | 12:20 | 4 |
| 18.რედინგი | 6 | 0 | 3 | 3 | 8:13 | 3 |
| 19.ნორვიჩი | 7 | 0 | 3 | 4 | 5:17 | 3 |
| 20.ქპრ | 7 | 0 | 2 | 5 | 6:16 | 2 |

## ესპანეთი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 20.10 | მალაგა-ვალიადოლიდი | 1.53 | 3.8 | 6.5 |
| 20.10 | რეალი-სელტა | 1.08 | 9.5 | 26.0 |
| 20.10 | ვალენსია-ბილბაო | 1.61 | 3.75 | 5.5 |
| 20.10 | დეპორტივო-ბარსელონა | 10.0 | 5.0 | 1.3 |
| 21.10 | ხეტაფე-ლევანტე | 1.85 | 3.4 | 4.33 |
| 21.10 | ესპანიოლი-რაიო | 1.95 | 3.4 | 3.8 |
| 21.10 | გრანადა-სარაგოსა | 1.91 | 3.4 | 4.0 |
| 21.10 | ოსასუნა-ბეტისი | 2.0 | 3.3 | 3.75 |
| 21.10 | სოსიედადი-ატლეტიკო | 3.6 | 3.3 | 2.05 |
| 22.10 | სევილია-მალიორკა | 1.61 | 3.75 | 5.5 |

**მალაგა-ვალიადოლიდი**

მალაგა: *ტრავმა*-ჯერემი ტულანანი, ხუანმი, ჟულიო ბაპტისტა

ვალიადოლიდი: *ტრავმა*-ლუის სასტრე

**რეალი-სელტა**

რეალი: *ტრავმა*-არავინ

სელტა: *ტრავმა*-არავინ

**ვალენსია-ბილბაო**

ვალენსია: *ტრავმა*-რიკარდო კოსტა, პაბლო პიატი, დავიდ ალბელდა, ევერ ბანეგა, სერხიო კანალესი

ბილბაო: *ტრავმა*-ინიგო პერესი

**დეპორტივო-ბარსელონა**

დეპორტივო: *ტრავმა*-მანუელ პაბლო

ბარსელონა: *ტრავმა*-ტიაგო ალკანტარა, კარლეს პუიოლი, ერიკ აბიდალი, ისააკ კუენკა

**ხეტაფე-ლევანტე**

ხეტაფე: *ტრავმა*-არავინ

ლევანტე: *ტრავმა*-მიგელ პალარდო

**ესპანიოლი-რაიო**

ესპანიოლი: *ტრავმა*-ფელიპე მატიონი, სერხიო გარსია, რაულ ბაენა

რაიო: *ტრავმა*-არავინ

**გრანადა-სარაგოსა**

გრანადა: *ტრავმა*-ოდიონ იგალიო, ფრან რიკო, ჰასან იებდა

სარაგოსა: *ტრავმა*-ადამ პინტერი, ივან ობრადოვიჩი

**ოსასუნა-ბეტისი**

ოსასუნა: *ტრავმა*-მარკ ბერტრანი

ბეტისი: *ტრავმა*-დამიენ პერკისი, ნონო, ხავიერ ჩიჩა, ანგელ ლოპესი

**სოსიედადი-ატლეტიკო**

სოსიედადი: *ტრავმა*-რუბენ პარდო, კარლოს მარტინესი, კლაუდიო ბრავო, გორკა ელუსტონდო

ატლეტიკო: *ტრავმა*-არავინ

**სევილია-მალიორკა**

სევილია: *ტრავმა*-დიეგო პეროტი, პიოტრ ტროხოვსკი

მალიორკა: *ტრავმა*-ანტონიო ლოპესი, ნუნიესი, ხავი მარკესი, ალვარო ხიმენესი

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 7 | 6 | 1 | 0 | 19:7 | 19 |
| 2.ატლეტიკო | 7 | 6 | 1 | 0 | 18:8 | 19 |
| 3.მალაგა | 7 | 4 | 2 | 1 | 12:3 | 14 |
| 4.ბეტისი | 7 | 4 | 0 | 3 | 12:13 | 12 |
| 5.რეალი | 7 | 3 | 2 | 2 | 14:7 | 11 |
| 6.მალიორკა | 7 | 3 | 2 | 2 | 8:6 | 11 |
| 7.სევილია | 7 | 3 | 2 | 2 | 8:7 | 11 |
| 8.ვალიადოლიდი | 7 | 3 | 1 | 3 | 11:7 | 10 |
| 9.ხეტაფე | 7 | 3 | 1 | 3 | 8:10 | 10 |
| 10.რაიო | 7 | 3 | 1 | 3 | 9:14 | 10 |
| 11.ლევანტე | 7 | 3 | 1 | 3 | 8:13 | 10 |
| 12.სელტა | 7 | 3 | 0 | 4 | 9:8 | 9 |
| 13.სოსიედადი | 7 | 3 | 0 | 4 | 8:11 | 9 |
| 14.ვალენსია | 7 | 2 | 2 | 3 | 8:9 | 8 |
| 15.გრანადა | 7 | 2 | 2 | 3 | 6:10 | 8 |
| 16.ბილბაო | 7 | 2 | 2 | 3 | 9:14 | 8 |
| 17.სარაგოსა | 7 | 2 | 0 | 5 | 5:9 | 6 |
| 18.დეპორტივო | 7 | 1 | 3 | 3 | 9:14 | 6 |
| 19.ოსასუნა | 7 | 1 | 1 | 5 | 7:11 | 4 |
| 20.ესპანიოლი | 7 | 0 | 2 | 5 | 8:13 | 2 |

## იტალია

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 20.10 | იუვენტუსი-ნაპოლი | 1.75 | 3.5 | 4.75 |
| 20.10 | ლაციო-მილანი | 2.4 | 3.2 | 3.0 |
| 21.10 | კალიარი-ბოლონია | 2.0 | 3.25 | 3.9 |
| 21.10 | ინტერი-კატანია | 1.57 | 3.75 | 6.0 |
| 21.10 | უდინეზე-პესკარა | 1.5 | 4.0 | 6.5 |
| 21.10 | კიევო-ფიორენტინა | 3.0 | 3.2 | 2.4 |
| 21.10 | პალერმო-ტორინო | 2.1 | 3.25 | 3.5 |
| 21.10 | პარმა-სამპდორია | 2.15 | 3.2 | 3.5 |
| 21.10 | ატალანტა-სიენა | 2.05 | 3.2 | 3.8 |
| 21.10 | ჯენოა-რომა | 3.0 | 3.75 | 2.15 |

**იუვენტუსი-ნაპოლი**

იუვენტუსი: *ტრავმა*-ჯანლუიჯი ბუფონი, სიმონე პეპე

ნაპოლი: *ტრავმა*-მიგელ ბრიტოსი

**ლაციო-მილანი**

ლაციო: *ტრავმა*-კრისტიან ბროკი, მობიდო დიაკიტე, შტეფან რადუ; *დისკ*-ჯუზეპე სქული

მილანი: *ტრავმა*-რობინიო, დანიელე ბონერა, ბაკაიე ტრაორე, სალი მუნტარი, როდნი შტრასერი, დუდაკ ვილა; *დისკ*-მასიმო ამბროზინი

**კალიარი-ბოლონია**

კალიარი: *ტრავმა*-ვიქტორ იბარბო, მაურისიო პინილია, ანდრეა კოსუ, ვინჩენკო კამილიერი

ბოლონია: *ტრავმა*-დეიან სტოიანოვიჩი, ფედერიკო აგლიარდი, ჩეზარე ნატალი, ჯანლუკა კურჩი, მიქაელ ანტონსონი, დიეგო პერესი, რენე კრინი, დანიელე პორტანოვა

**ინტერი-კატანია**

ინტერი: *ტრავმა*-კრისტიან კივუ, რიკარდო ალვარესი, ველსი სნეიდერი, მაკდონალდ მარიგა, დეიან სტანკოვიჩი; *დისკ*-იოტო ნაგამოტო

კატანია: *ტრავმა*-ფაბიო სკიაცა, ნიკოლას სპოლი, პიეტრო ტერაკიანო, კეკო, ალესანდრო პოტენცა

**უდინეზე-პესკარა**

უდინეზე: *ტრავმა*-ჯამპიერო პინცი, ჯოვანი პასკუალე, დუშან ბასტა, ლუის მურიელი

პესკარა: *ტრავმა*-ჯუზეპე კოლუჩი, კრისტიან ტერლიცი, ლუკა ჩიარეტი, ფრანჩესკო მოდესტო, უროს კოსიჩი

**კიევო-ფიორენტინა**

კიევო: *ტრავმა*-პავოლ ფარკასი, ჯენარო სარდო, პაულ პაპი, ლუჩიანო, ლორენცო სქული, ალბერტო პალოსკი, სიმონე ბენტივოლიო

ფიორენტინა: *ტრავმა*-დავიდ პიზარო, მიქელე კამპორეზე, ალბერტო აკვილანი

**პალერმო-ტორინო**

პალერმო: *ტრავმა*-აბელ ფერნანდესი, ანდრეა მანტოვანი, მილან მილანოვიჩი, ერან ზაჰავი

ტორინო: *ტრავმა*-ანჯელო ოგბონა, მატეო ბრიგი, მატეო დარმიანი, მარიო სანტანა

**პარმა-სამპდორია**

პარმა: *ტრავმა*-კრისტიან ძაკარდო, რაფაელე პალადინო, ფაბიანო სანტაკროჩე; *დისკ*-იოან ბენალუანე, ალესანდრო ლუკარელი

სამპდორია: *ტრავმა*-პაოლო კასტელინი, ედერი, ნიკოლა პოცი, ანდრეა პოლი, ხუან ანტონიო; *დისკ*-დანიელე გასტალდელო

**ატალანტა-სიენა**

ატალანტა: *ტრავმა*-კრისტიან რაიმონდი, მიქელე ფერი, ტომას მანფრედინი, გულიელმო სტენდარდო, ჯანპაოლო ბელინი, დავიდე ბიონდინი, ივან რადოვანოვიჩი, ადრიანუ პინტუ, დანიელე კაპელი, კარლოს კარმონა

სიენა: *ტრავმა*-ანდრეა კამპანოლო, გაეტანო დაგოსტინო, მატეო კონტინი, მარსელო ლარონდო, ნიკოლა ბელმონტე; *დისკ*-ზე ედუარდო

**ჯენოა-რომა**

ჯენოა: *ტრავმა*-ანდრეა ბერტოლაკი, დამიანო ფერონეტი, მარკო როსი

რომა: *ტრავმა*-ბოგდან ლობონტი, დოდო

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 7 | 6 | 1 | 0 | 17:4 | 19 |
| 2.ნაპოლი | 7 | 6 | 1 | 0 | 14:3 | 19 |
| 3.ინტერი | 7 | 5 | 0 | 2 | 11:6 | 15 |
| 4.ლაციო | 7 | 5 | 0 | 2 | 12:6 | 15 |
| 5.სამპდორია | 7 | 3 | 2 | 2 | 9:7 | 10 |
| 6.ჯენოა | 7 | 2 | 3 | 2 | 8:8 | 9 |
| 7.ტორინო | 7 | 2 | 3 | 2 | 9:5 | 8 |
| 8.რომა | 7 | 3 | 2 | 2 | 14:11 | 11 |
| 9.ფიორენტინა | 7 | 3 | 2 | 2 | 8:6 | 11 |
| 10.კატანია | 7 | 3 | 2 | 2 | 9:11 | 11 |
| 11.მილანი | 7 | 2 | 1 | 4 | 7:7 | 7 |
| 12.ბოლონია | 7 | 2 | 1 | 4 | 9:10 | 7 |
| 13.პესკარა | 7 | 2 | 1 | 4 | 6:14 | 7 |
| 14.პარმა | 7 | 1 | 3 | 3 | 6:10 | 6 |
| 15.უდინეზე | 7 | 1 | 3 | 3 | 7:11 | 6 |
| 16.კიევო | 7 | 2 | 0 | 5 | 6:12 | 6 |
| 17.ატალანტა | 7 | 2 | 1 | 4 | 5:11 | 5 |
| 18.პალერმო | 7 | 1 | 2 | 4 | 6:11 | 5 |
| 19.სიენა | 7 | 2 | 2 | 3 | 8:8 | 2 |
| 20.კალიარი | 7 | 1 | 2 | 4 | 4:11 | 5 |

შენიშვნა:

სამპდორიას დაკლებული აქვს 1 ქულა

ტორინოს დაკლებული აქვს 1 ქულა

ატალანტას დაკებული აქვს 2 ქულა

სიენას დაკლებული აქვს 6 ქულა

## გერმანია

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 20.10 | დორტმუნდი-შალკე | 1.67 | 3.8 | 5.0 |
| 20.10 | ლევერკუზენი-მაინცი | 1.67 | 3.8 | 5.0 |
| 20.10 | ვოლფსბურგი-ფრაიბურგი | 2.25 | 3.4 | 3.1 |
| 20.10 | ფორტუნა-ბაიერნი | 9.0 | 5.0 | 1.33 |
| 20.10 | აინტრახტი-ჰანოვერი | 2.1 | 3.5 | 3.3 |
| 20.10 | ვერდერი-გლადბახი | 2.1 | 3.5 | 3.3 |
| 21.10 | ნიურნბერგი-აუგსბურგი | 2.0 | 3.5 | 3.6 |
| 21.10 | ჰამბურგი-შტუტგარტი | 2.25 | 3.4 | 3.1 |

**დორტმუნდი-შალკე**

დორტმუნდი: *ტრავმა*-ილკაი გუნდოგანი, პატრიკ ოვომოიელა, მუსტაფა ამინი, ზლატან ალომეროვიჩი

შალკე: *ტრავმა*-კირიაკოს პაპადოპულოსი, ჟულიენ დრექსლერი, ვასილიოს პლიასტიკასი, ტიმო ჰილდებრანდი

**ლევერკუზენი-მაინცი**

ლევერკუზენი: *ტრავმა*-კოლია პუჩი, ნიკლას ლომბი

მაინცი: *ტრავმა*-ნიკოლაი მიულერი, რადოსლავ ზაბავნიკი, ივან კლასნიჩი, მაქსიმ ჩუპო-მოტინგი, მარსელ რიისე

**ვოლფსბურგი-ფრაიბურგი**

ვოლფსბურგი: *ტრავმა*-მაქსიმილიან არნოლდი, ვაცლავ პილარი, პატრიკ ჰელმესი

ფრაიბურგი: *ტრავმა*-იოან ფლუმი, იან როზენტალი

**ფორტუნა-ბაიერნი**

ფორტუნა: *ტრავმა*-შტეფან რესინგერი, ნიკლას პაპადოპულოსი, ალიოსმან აუდინი, ტურგულ ერატი

ბაიერნი: *ტრავმა*-არიენ რობენი, დავიდ ალაბა, მარიო გომესი

**აინტრახტი-ჰანოვერი**

აინტრახტი: *ტრავმა*-ერვინ ჰოფერი, ჟულიან დუდდა, მარკ ოლივერ კემპი

ჰანოვერი: *ტრავმა*-ადრიან ნიკჩი, ლეონ ანდრეასენი

**ვერდერი-გლადბახი**

ვერდერი: *ტრავმა*-მეჰმეტ ეკიჩი, ფელიქს კროოსი, პრედრაგ სტევანოვიჩი, კრისტიან ვანდერი

გლადბახი: *ტრავმა*-არავინ

**ნიურნბერგი-აუგსბურგი**

ნიურნბერგი: *ტრავმა*-პერ ნილსონი, პატრიკ რაკოვსკი

აუგსბურგი: *ტრავმა*-სიმონ ჯენტში, კოო ჯა ჩეოლი, დაუდა ბა

**ჰამბურგი-შტუტგარტი**

ჰამბურგი: *ტრავმა*-ივო ილიჩევიჩი, დენის აოგო, სლობოდან რაიკოვიჩი, ტომას რინკონი

შტუტგარტი: *ტრავმა*-შინჯი ოკაზაკი, ტიმ ჰოოგლანდი, დანიელ დიდავი, იოან აუდელი

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 7 | 7 | 0 | 0 | 21:2 | 21 |
| 2.აინტრახტი | 7 | 5 | 1 | 1 | 16:10 | 16 |
| 3.შალკე | 7 | 4 | 2 | 1 | 15:7 | 14 |
| 4.დორტმუნდი | 7 | 3 | 3 | 1 | 17:9 | 12 |
| 5.ჰანოვერი | 7 | 3 | 2 | 2 | 15:10 | 11 |
| 6.ლევერკუზენი | 7 | 3 | 2 | 2 | 11:9 | 11 |
| 7.ფორტუნა | 7 | 2 | 4 | 1 | 6:3 | 10 |
| 8.ჰამბურგი | 7 | 3 | 1 | 3 | 9:10 | 10 |
| 9.მაინცი | 7 | 3 | 1 | 3 | 7:8 | 10 |
| 10.გლადბახი | 7 | 2 | 3 | 2 | 9:12 | 9 |
| 11.ფრაიბურგი | 7 | 2 | 2 | 3 | 11:10 | 8 |
| 12.ვერდერი | 7 | 2 | 1 | 4 | 10:13 | 7 |
| 13.ჰოფენჰაიმი | 7 | 2 | 1 | 4 | 10:14 | 7 |
| 14.ნიურნბერგი | 7 | 2 | 1 | 4 | 8:14 | 7 |
| 15.შტუტგარტი | 7 | 1 | 3 | 3 | 7:14 | 6 |
| 16.აუგსბურგი | 7 | 1 | 2 | 4 | 5:11 | 5 |
| 17.ვოლფსბურგი | 7 | 1 | 2 | 4 | 2:13 | 5 |
| 18.ფიურტი | 7 | 1 | 1 | 5 | 2:11 | 4 |

## საფრანგეთი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 20.10 | პსჟ-რეიმსი | 1.2 | 6.0 | 15.0 |
| 20.10 | რენი-მონპელიე | 2.15 | 3.25 | 3.5 |
| 20.10 | ნიცა-სენტ ეტიენი | 2.6 | 3.1 | 2.8 |
| 20.10 | ევიანი-ტულუზა | 2.62 | 3.25 | 2.7 |
| 20.10 | ნანსი-სოშო | 2.0 | 3.2 | 4.0 |
| 20.10 | ვალანსიენი-ლორიენი | 2.2 | 3.3 | 3.3 |
| 21.10 | აიაჩო-ბასტია | 2.4 | 3.2 | 3.0 |
| 21.10 | ლიონი-ბრესტი | 1.36 | 4.5 | 9.0 |
| 21.10 | ტრუა-მარსელი | 5.0 | 3.5 | 1.73 |

**პსჟ-რეიმსი**

პსჟ: *ტრავმა*-მეტიუ ბოდმერი, ტიაგო მოტა, ეზეკიელ ლავეცი

რეიმსი: *ტრავმა*-ფლოიდ აიტე, ჟულიენ ტუდიჩი, ოდაირ ფორტესი

**რენი-მონპელიე**

რენი: *ტრავმა*-ონეოკაჩი აპამი, აბდულაიე სანე, ვიქტორ მონტანო

მონპელიე: *ტრავმა*-ანტონი მონიე, ანრი ბედიმო, ჯონ უტაკა

**ნიცა-სენტ ეტიენი**

ნიცა: *ტრავმა*-სირილ ჰენიო, კევინ ანინი, დიაჩკო ფოფანა, ხავიერ პენტეკოტე

სენტ ეტიენი: *ტრავმა*-ჟან-პასკალ მინიო, ბანიელ ნიკოლიტა, ისმაელ დიომანდე, ფრანსიოზ კლერკი

**ევიანი-ტულუზა**

ევიანი: *ტრავმა*-სედრიკ გამბონი, ჯაკარიბდა კონე, სიდნეი გოვუ, ალი მადი

ტულუზა: *ტრავმა*-არავინ

**ნანსი-სოშო**

ნანსი: *ტრავმა*-რომან გრანგე პაულ ალო ეფოულო

სოშო: *ტრავმა*-იასინ მიკარი

**ვალანსიენი-ლორიენი**

ვალანსიენი: *ტრავმა*-გრეგორი პუიოლი, დუშან ჯურიჩი, კამა მასამპუ

ლორიენი: *ტრავმა*-მეტიუ ოსტრე, ველსი ლაოტოა, მეტიუ კუტადო, ბრუნო მანგა

**აიაჩო-ბასტია**

აიაჩო: *ტრავმა*-სიგამარი დიარა, ანტონი ლიპინი, არნო მაირე, ფელიპე საადი

ბასტია: *ტრავმა*-ჟილ კიონი, ილანი, იასინ ელ-აზოუზი

**ლიონი-ბრესტი**

ლიონი: *ტრავმა*-იოან გურკუფი

ბრესტი: *ტრავმა*-ბერნარდ მენდი, აქლესანდერ ალფონსე

**ტრუა-მარსელი**

ტრუა: *ტრავმა*-არავინ

მარსელი: *ტრავმა*-ლეიტი ნდიაე, სულეიმან დიავარა

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მარსელი | 8 | 6 | 1 | 1 | 12:7 | 19 |
| 2.პსჟ | 8 | 4 | 4 | 0 | 14:5 | 16 |
| 3.ლიონი | 8 | 4 | 3 | 1 | 13:8 | 15 |
| 4.რეიმსი | 8 | 4 | 2 | 2 | 11:6 | 14 |
| 5.ლორიენი | 8 | 3 | 5 | 0 | 14:9 | 14 |
| 6.ბორდო | 8 | 3 | 5 | 0 | 10:6 | 14 |
| 7.ტულუზა | 8 | 3 | 4 | 1 | 11:9 | 13 |
| 8.ვალანსიენი | 8 | 3 | 3 | 2 | 12:8 | 12 |
| 9.სტ.ეტიენი | 8 | 3 | 2 | 3 | 14:8 | 11 |
| 10.აიაჩო | 8 | 3 | 2 | 3 | 6:9 | 11 |
| 11.რენი | 8 | 3 | 1 | 4 | 10:11 | 10 |
| 12.ლილი | 8 | 2 | 4 | 2 | 10:10 | 10 |
| 13.ბრესტი | 8 | 3 | 1 | 4 | 10:13 | 10 |
| 14.ბასტია | 8 | 3 | 1 | 4 | 12:20 | 10 |
| 15.ნიცა | 8 | 1 | 5 | 2 | 11:12 | 9 |
| 16.მონპელიე | 8 | 2 | 2 | 4 | 11:11 | 8 |
| 17.ევიანი | 8 | 2 | 2 | 4 | 10:11 | 8 |
| 18.სოშო | 8 | 2 | 0 | 6 | 7:13 | 6 |
| 19.ნანსი | 8 | 1 | 1 | 6 | 2:14 | 4 |
| 20.ტრუა | 8 | 0 | 2 | 6 | 8:18 | 2 |

# ზინედინ ზიდანი: კარიერის დასრულების შემდეგ ადრენალინის ნაკლებობას განვიცდი

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ხანს ველარ მოვახერხებდი და მაშინ ჩემს ნაცვლად გადაწყვეტილების მიღება უკვე სხვებს მოუწევდათ. არ მინდოდა, ვინმეს კარისკენ მიეთითებინა. ფეხბურთელობისას ყველა დასახულ მიზანს მივაღწიე და საკუთარ ავტორიტეტს უნდა გავფრთხილებოდი. 2006-ში სწორი გადაწყვეტილება მივიღე და იმედია, ახლაც არ ვცდები.

*– სამომავლოდ რომელი გუნდის გაწვრთნას ისურვებდით?*

– სერთიფიკატის აღება მნიშვნელოვანი ამბავია, მაგრამ სამწვრთნელო საქმეს გამოცდილება სჭირდება და ამიტომაც, საწყის ეტაპზე „პატარა“ გუნდის გაწვრთნით დავკმაყოფილდები. ისე კი, ჩემი მიზანი საფრანგეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელობაა. ეს ჩემი ოცნებაცაა და ამ დონეზე საკუთარი სამწვრთნელო შესაძლებლობების გამოცდა მსურს.

*– მწვრთნელობა მეტად სარისკო, სანერვიულო და ხიფათიანი პროფესიაა. ეს კარგად იცით, მაგრამ მაინც ეს პროფესია აირჩიეთ.*

– მას შემდეგ, რაც აქტიური საფეხბურთო კარიერა შევწყვიტე, სისხლში ადრენალინის ნაკლებობას ვგრძნობ. არაფერი შეედრება იმ გრძნობას, როცა თანაგუნდელებთან ერთად მინდორზე ხარ ან მწვრთნელის რანგში გასახდელში ფეხბურთელებს რჩევა-დარიგებას აძლევ. ორივე შემთხვევაში დიდ პასუხისმგებლობას გრძნობ. ამას კი არასდროს გავურბოდი და მომავალშიც ასე იქნება.

*– უპირველესად, რომელი მწვრთნელისგან აიღებთ მაგალითს?*

– „კანში“ თამაშისას ჩემი დამრიგებელი მუსიე ჟირაუდი გახლდათ. მაშინ ჩემ შესაძლებლობებში ეჭვი ბევრს შეჰქონდა, მან კი მამაშვილურად გამამხნევა და სწორ გზაზე დამაყენა. მისი მხარდაჭერა რომ არა, არავინ იცის, საბოლოოდ რა დონის ფეხბურთელად ჩამოყალიბდებოდა ზინედინ ზიდანი და, საერთოდ, შედგებოდა კი ჩემი ნაყოფიერი სპორტული კარიერა. სამწუხაროა, დღეს ჟირაუდი ცოცხალი რომ არაა. ჟირაუდს მოთმენის უნარი და დამწყებ ფეხბურთელთან ინდივიდუალური მუშაობის დიდი ნებისყოფა ჰქონდა. ყოველმხრივ შევეცდები, ეს თვისებები მეც გამოვავლინო.

# რომის პაპმა რუსული ეკლესიის პოზიციას „ფუსი რაიოთის“ წინააღმდეგ მხარი დაუჭირა

ბრიტანული გამოცემა „ინდეპენდენტის“ ინფორმაციით, რომის პაპმა ბენედიქტ მეთექვსმეტემ რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის მკაცრ პოზიციას „ფუსი რაიოთის“ მიერ ქრისტეს სახელობის ტაძარში სკანდალური გამოსვლის წინააღმდეგ, მხარი დაუჭირა.

ამის შესახებ რომის პაპის ბენედიქტ მეთექვსმეტისა და რუსული ეკლესიის მიტროპოლიტ ილარიონ ვოლოკოლამსკის შეხვედრის შემდეგ გახდა ცნობილი.



„პაპმა სოლიდარობა გამოუცხადა რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის მკაცრ პოზიციას აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში და გაკვირვება გამოთქვა იმ ზოგიერთი საინფორმაციო საშუალებების მიმართ, რომელთაც რეაქცია ჰქონდათ ეკლესიის ამ პოზიციაზე“, - წერს „ინდეპენდენტი“.

ბენედიქტ მეთექვსმეტე, ერისკაცობაში იოზეფ ალოის რაცინგერი, რომის პაპი 2005 წლის 19 აპრილიდან დღემდე, კათოლიკე თეოლოგია. მღვდლად ეკურთხა 1951 წელს. უკვე 31 წლის ასაკში გახდა ფრაიზინგის ფილოსოფიურ-თეოლოგიური უმაღლესი სასწავლებლის პროფესორი. იყო დოგმატიკის პროფესორი ბონის, მიუნსტერის, ტიუბინგენისა და რეგენსბურგის უნივერსიტეტებში. ვატიკანის მეორე მსოფლიო კრების დროს რაცინგერი იყო კიოლნის კარდინალის იოზეფ ფრინგსის მრჩეველი. მისი შედგენილი ტექსტებით, რომელსაც იგი კარდინალის მოხსენებებისთვის ადგენდა, გაითქვა მსოფლიო კრებაზე სახელი. 1977 წელს პავლე მეექვსეს მიერ დანიშნულ იქნა მიუნხენისა და ფრაინზინგის არქიეპისკოპოსად და იმავე წელს მიენიჭა კარდინალის წოდება. 1981 წლიდან, ვიდრე პაპად არჩევამდე, იყო რწმენის კონგრეგაციის თავკაცი. ამ მაღალი უფლებამოსილებით მთელი ამ წლების განმავლობაში იცავდა კათოლიკური ეკლესიის ქრისტიანული მოძღვრების სიწმინდეს ლიბერალიზმის მომძლავრებისგან (განსაკუთრებით დასავლეთ ევროპაში) და შიდაგამთიშველური გამოვლინებებისგან, ასევე წინ აღუდგა გარკვეულ მღვდელთა პოლიტიკურ (სოციალისტურ) აქტიურობებს ლათინურ ამერიკაში.

# გაეროს უშიშროების საბჭოს გარდამავალი წევრის სტატუსი 5 ახალ ქვეყანას მიენიჭა




რუანდა, არგენტინა, ავსტრალია, სამხრეთ კორეა და ლუქსემბურგი გაეროს უშიშროების საბჭოს გარდამავალ წევრებად აირჩიეს, ფინეთის, კამბოჯისა და ბჰუტანის კანდიდატურები კი უარყოფილ იქნა. რუანდამ 148 ხმა მიიღო, ავსტრალიამ 140, არგენტინამ 182, სამხრეთ კორეამ 149, ლუქსემბურგმა კი 131, რაც ზუსტად ორი ხმით მეტია სავალდებულო მინიმუმზე.

ახალი გარდამავალი წევრები უშიშროების საბჭოში გერმანიას, სამხრეთ აფრიკას, ინდოეთს, პორტუგალიას და კოლუმბიას შეცვლიან. გარდამავალი წევრობის ვადა 2 წელია, წევრთა შემადგენლობის განახლება კი ყოველ წელიწადს ხდება ხუთი ახალი ქვეყნის ჩანაცვლებით. სულ გაეროს უშიშროების საბჭო 15 წევრისაგან შედგება. ამათგან ხუთს (აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, რუსეთი და ჩინეთი) მუდმივი წევრის სტატუსი და ვეტოს უფლება გააჩნია. გადაწყვეტილების მიღება უშიშროების საბჭოში სწორედ მუდმივ წევრთა უმრავლესობის მიხედვით ხდება.

უშიშროების საბჭო გაეროს მუდმივმოქმედი ორგანოა. გაეროს წესდების შესაბამისად უშიშროების საბჭოს აქვს დაკისრებული მთავარი პასუხისმგებლობა საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებაზე. იგი უფლებამოსილია იმოქმედოს გაეროს ყველა წევრი სახელმწიფოს სახელით, რომლებიც ვალდებულნი არიან დაემორჩილონ მის გადაწყვეტილებებს და შეასრულონ ისინი.

უშიშროების საბჭო განსაზღვრავს მშვიდობისათვის საფრთხის არსებობას, მშვიდობის დარღვევას, აგრესიის აქტს, იღებს რეკომენდაციებს და წყვეტს, რა ღონისძიებები უნდა გატარდეს მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნების ან მისი აღდგენისათვის. უშიშროების საბჭოს რეზოლუციებს საერთაშორისო კანონის ძალა აქვს და საჭიროების შემთხვევაში, მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისა და სახიფათო სახელმწიფოების დამორჩილებისათვის ძალადობის გამოყენების უფლებასაც იძლევა.

როგორც აღვნიშნეთ, უშიშროების საბჭოს 15 წევრი ჰყავს, მათგან 5 მუდმივი წევრია (აშშ, დიდი ბრიტანეთი, რუსეთი, საფრანგეთი, ჩინეთი), დანარჩენი 10 კი ყოველ მეორე წელს აირჩევა გენერალური ასამბლეის მიერ. პროცედურულ საკითხებზე საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს მუდმივ წევრთა ერთსულოვანი თანხმობით (გადაწყვეტილება არ მიიღება, თუ მას მხარს არ უჭერს რომელიმე წევრი) და იგი სავალდებულოა გაეროს ყველა წევრისათვის.

# სეული ფხენიანს კონტრდარტყმით დაემუქრა



სამხრეთ კორეის თავდაცვის უწყების ხელმძღვანელის განცხადებით, სამხრეთ კორეა ჩრდილოეთ კორეის ნებისმიერ თავდასხმას, კონტრდარტყმით უპასუხებს.

„ბი-ბი-სი-ს“ ცნობით, აღნიშნული განცხადება ჩრდილოეთ კორეის მუქარას მოჰყვა, რომელმაც „სამხედრო დარტყმის“ პირობა დადო იმ შემთხვევაში, თუ მეზობელი ქვეყნის აქტივისტები სასაზღვრო რაიონებიდან პროპაგანდისტურ პროკლამაციებს გადაისვრიან.

სამხრეთ კორეა რესპუბლიკად გამოცხადდა 1948 წელს. 1951-ში ქვეყანაში შეიჭრა ჩრდილოეთი კორეა, ომი რამდენიმე წელი გრძელდებოდა. 1961 და 1980 წლებში განხორციელდა სამხედრო გადატრიალებები. 1991 წელს ჩრდილოეთ კორეასთან ხელი მოეწერა თავდაუსხმელობის აქტს. 1992 წლიდან გაეროს წევრია.

2000 წლიდან დაიწყო შედარებითი „დათბობის პერიოდი“ მხარეებს შორის.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

# ევროკავშირის ლიდერები საბანკო ზედამხედველობის მექანიზმზე შეთანხმდნენ

„ბანკების მეფის“ იდეა, რომელიც ევროპის ლიდერებმა სამიტზე განიხილეს, ევროკავშირის შიგნით ბანკებზე ერთი საზედამხედველო ორგანოს დაწესებას გულისხმობს. გერმანიის კანცლერმა, ანგელა მერკელმა, განაცხადა რომ ევროპული საბანკო ზედამხედველობის მექანიზმი სავარაუდოდ 2013 წლისთვის ამოქმედდება. მოლაპარაკებისას მერკელმა განაცხადა, რომ მექანიზმი მანამ უნდა ამოქმედდეს, სანამ ევროზონის ქვეყნებს ევროკავშირის სამაშველო ფონდებიდან თანხების გამოტანის უფლება მიეცემათ. გერმანია ასევე ლობირებს იდეას, რომლის მიხედვითაც ახალი საზედამხედველო ორგანოს შეეძლება დაბლოკოს ეროვნული ბიუჯეტები თუ ისინი შეთანხმებულ დანახარჯებს გადასცდებიან.

ევროკომისიის პრეზიდენტმა ჟოზე მანუელ ბაროზომ განაცხადა, რომ ლეგალურად შესაძლებელი იქნება ევროზონის არაწევრი ქვეყნების იგივე ზედამხედველობის ქვეშ მოქცევა.

ბანკების „სუპერ კომისიონერის“ იდეამ პირველად ზაფხულში გაიჟღერა. ეს იქნება პირველი ნაბიჯი ეფექტური საბანკო კავშირის შექმნისათვის, რომლის არსებობა კრიზისის დაძლევის აუცილებელ წინაპირობად მიიჩნევა.

ამ ფონზე, 20 000-ზე მეტი ადამიანი გამოვიდა ათენის ქუჩებში, რათა საბოლოოდ ეთქვათ უარი მთავრობის მკაცრი ეკონომიკური პოლიტიკისთვის. მათი სურვილი გახლდათ, ეს წინააღმდეგობა ბრიუსელში შეკრებილი ევროპელი ლიდერებისადმი მიეწვდინათ. მრავალათასიანი დემონსტრაცია პოლიციასთან შეტაკებაში გადაიზარდა.

დღეს არ გავიდნენ ზღვაში გემები, დროებით დაიკეტა დედაქალაქის აეროპორტი, არ მუშაობს საზოგადოებრივი ტრანსპორტი და შეჩერებულია რკინიგზაზე მოძრაობაც. საავადმყოფოები მხოლოდ გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას უწევენ პატიმრებს.

გუშინ, გვიან საღამოს, კიდევ ერთხელ გაიმართა მოლაპარაკება ევროკავშირის წარმომადგენლებსა და ათენის ხელისუფლებას შორის. იმისათვის, რომ საბერძნეთმა 11,5 მილიონი ევროს ტრანში მიიღოს, ეკონომიკური ზომები კიდევ უფრო უნდა გამკაცრდეს. ბერძნები თვლიან, რომ ეს ქვეყანაში ეკონომიკურ მდგომარეობას კიდევ უფრო გაართულებს.



მთავრობის მიერ ეკონომიის მკაცრი ზომების მიღებას, შაბათს, ლონდონშიც გააპროტესტებენ, სადაც ქუჩებში ათობით ათასი ადამიანი გეგმავს გამოსვლას.

ბრიტანეთის მსხვილი პროფკავშირების ცნობით, მათ შაბათის მსვლელობაში ქვეყნის სხვადასხვა ნაწილიდან შეუერთდებიან. ლონდონის გარდა, მცირე დემონსტრაციებს გლაზგოსა და ბელფასტშიც ელოდებიან.

# ავღანეთში აფეთქებას ქალები და ბავშვები შეეწირნენ

სულ მცირე 18 ადამიანი – ძირითადად ქალები და ბავშვები დაიღუპნენ ავღანეთის სამხრეთ ნაწილში მომხდარი აფეთქების დროს. ინფორმაციას ამის შესახებ ადგილობრივი პოლიცია ავრცელებს.

მათი ინფორმაციით, გზაზე დადებულ ასაფეთქებელ ნივთიერებაზე გადავლის შემდეგ მიკროავტობუსი აფეთქდა, რომელშიც ქორწილში დაპატიჟებული სტუმრები მიდიოდნენ.

„ბი-ბი-სის“ კორესპონდენტის ინფორმაციით, ავღანეთის სამხრეთის რაიონები ქვეყანაში ერთ-ერთ ყველაზე მშვიდ რაიონებად ითვლება, თუმცა ამ რეგიონში ბოლო დროს „თალიბების“ აქტიურობა იზრდება.

„თალიბანის“ შეიარაღებული მებრძოლები ნატოსა და ავღანელი სამხედროების წინააღმდეგ ხშირად მიმართავენ მსგავს თავდასხმას, რომელსაც მშვიდობიანი მოქალაქეებიც ეწირებიან.


## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

2010 წელს ხობის ხარების დედათა მონასტრის უძველეს ტაძარში არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩნდა წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახე საძვალე.

(საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2011 წლის 11 ნოემბრის 611/15 დადგენილებით, ხობის მონასტრის რესტავრაცია—განახლებისათვის შემოწირულობის შეგროვების მიზნით გამოყოფილი სატელეფონო ნომრები: მაგთი, ჯეოსელი და ბილაინი 700 607, სილქნეტი 608 608, ახალი ქსელები და ახტელი 700 608, შეიცვალა ახალი ნომრით 0-901-900-900.

ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ფასიანი ზარის განხორციელება შესაძლებელია შემდეგი თანმიმდევრობით: 0-901-900-900.




იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი. (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)



## განცხადებები

- ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის გაჩეჩა, საბნების განახლება. მოგემსახურებათ პროფესიონალი მკერავი. შემოგთავაზებთ ქსოვილების ფართო არჩევანს. ტელ: 235-15-96.
